ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: „განათლების მეცნიერებები“

დათაშვილი ანა

რესურს ოთახი და მისი როლი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლის პროცესში

ნაშრომი შესრულებულია განათლების მეცნიერებების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ეფემია ხარაძე
თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის
ასისტენტ- პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

თანახელმძღვანელი: მაია შაშვიაშვილი
თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა დოქტორანტი

თბილისი
2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ეხება რესურს ოთახს და მის როლს სსსმ მოსწავლეების სწავლის პროცესში. ცნობილია, რომ საქართველოს ინკლუზიური განათლების სისტემამ განვითარების არაერთი ეტაპი გაიარა და დღესაც განიცდის ცვლილებებს. ამ პროცესის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია რესურს ოთახი, რომელიც უნდა არსებობდეს ყველა სკოლაში, რომელშიც ჩარიცხულია სსსმ მოსწავლე. რესურს ოთახი ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეების ინტეგრაციას სასკოლო სივრცეში, ეხმარებოდეს მოსწავლეს უნარების განვითარებასა და დამატებით მეცადინეობაში. ამისათვის იგი აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. აქედან გამომდინარე, რესურს ოთახის როლის შესწავლა სსსმ მოსწავლეების სწავლის პროცესში **აქტუალური** საკითხია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განვიხილეთ არსებული ლიტერატურა და საკანონმდებლო რეგულაციები. გამოვარკვიეთ, რომ რესურს ოთახის დანიშნულება და როლი ნაკლებად შესწავლილი საკითხია, ამიტომ კვლევა წარმოადგენს **სიახლეს**.

თემატიკით დაინტერესებისა და წინასწარი კვლევის შედეგად შევიმუშავეთ **ჰიპოთეზა**: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა უმრავლესობაში რესურს ოთახები არ არის აღჭურვილი სსსმ მოსწავლეების საჭიროებების შესაბამისად, აღინიშნება სასწავლო ლიტერატურისა და პედაგოგების ნაკლებობა და შესაბამისად ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას.

სამაგისტრო ნაშრომის **მიზანია** ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოქმედი რესურს ოთახის რეალიზაციის კვლევა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლის პროცესში. მიზნის მისაღწევად დავისახეთ შემდეგი **ამოცანები**:

- სამაგიდე კვლევა: არსებული კვლევები, საკანონმდებლო ბაზა;
- კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა;
- კვლევის ინსტრუმენტის შემუშავება;
- ემპირიული კვლევის ჩატარება;

- დასკვნებისა და რეკომენდაციის შემუშავება.

ნაშრომის კვლევის **საგანია** რესურს ოთახი და მისი როლი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლის პროცესში, ხოლო **ობიექტი** - რესურს ოთახის რეალიზაციის პროცესი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლებისას.

ნაშრომში გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის **მეთოდი**, კერძოდ, მეორადი ინფორმაციის დამუშავება და ჩაღრმავებული ინტერვიუ. რესპოდენტებად მიზნობრივად შეირჩა თბილისის საჯარო სკოლის სპეციალური მასწავლებლები. კვლევის შედეგები დეტალურადაა მოცემული ნაშრომში.

Datashvili Ana

Resource room and its role in the learning/teaching process of pupils with special educational needs.

Annotation

The following Master's thesis concerns on the resource room and its role in the learning process of pupils with special educational needs. It is known that Georgia's inclusive education system has undergone many phases of development and it is still experiencing changes. One of the essential parts of this process is the resource room which should exist in every school, where the pupil with special educational needs is enrolled. The resource room should support pupils' integration in the school space, helping pupils to develop skills and learn more. For this purpose, the room should be equipped with appropriate material-technical resources. Thus, the study of the role of the resource room is an important issue in the learning process of pupils with special educational needs.

We discussed the existing literature and legislative regulations in relation with this topic. We found that the purpose and role of the resource room is less learned, so this research is the novelty.

As a result of interest of the topic and preliminary research, we developed the following hypothesis: Most resource rooms are not equipped in accordance with the needs of pupils with special educational needs, there is a lack of educational literature and teachers and therefore these rooms can not fulfill their purpose.

The aim of the Master's thesis is to study the realization of the resource room in the secondary education institutions in the learning process of the pupils with special educational needs. To accomplish this, we set the following tasks:

- Board research: existing research, legislative base;
- Determination of research methodology;
- Develop a research instrument;

- Conduct empirical research;
- Develop conclusions and recommendations.

The subject of the thesis is a resource room and its role in the teaching process of pupils with special education needs, and the object is – the process of a resource room realization while teaching pupils with special educational needs.

In the following thesis the qualitative research method was used, in particular the processing of secondary information and in-depth interviews. The special teachers of Tbilisi public school were selected as the respondents. The results of the research are presented in the work, in details.

სარჩევი

შესავალი 7

ნაშრომში გამოყენებულ ძირითად ტერმინთა განმარტებები 10

თავი I. ინკლუზიური განათლება 12

§ 1.1. ინკლუზიური განათლების ისტორია საქართველოში 13

§ 1.2. სამართლებრივი წყაროები 18

§ 1.4. ინკლუზიურ განათლებაში ჩართული პირები 20

თავი II. ინკლუზიური განათლება რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე 26

§ 2.1. გერმანია 28

§ 2.2. შვედეთი 28

§ თავი 2.3. ამერიკა 29

თავი III. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება 32

თავიIV. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა 34

თავი V. რესურს ოთახი 37

§ 5.1. როგორ უნდა იყოს მოწყობილი რესურს ოთახი: 38

§ 5.2. რესურს ოთახის აღჭურვა: 39

§ 5.3 რესურს ოთახის გამოყენების პრინციპები 42

კვლევითი ნაწილი 44

დასკვნები 57

რეკომენდაციები 58

გამოყენებული ლიტერატურა: 59

დანართი 1

შესავალი

რესურს ოთახს, თავისი დანიშნულებიდან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინკლუზიური განათლების პროგრამის წარმატებით განხორციელების საქმეში. იგი არის ადგილი, სადაც სსსმ მოსწავლეები სასკოლო ცხოვრების გარკვეულ ნაწილს ატარებენ. აქ მათ საშუალება უნდა ჰქონდეთ დაისვენონ, ინდივიდუალურად და/ან ჯგუფურად იმუშაონ. ამისათვის იგი აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. მნიშვნელოვანია, რომ ადვილად ხელმისაწვდომი იყოს ეტლით მოსარგებლე, თუ სხვა საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. ამასთან ერთად დაუშვებელია რესურს ოთახის გამოყენება მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესიდან იზოლირებისთვის.

სამაგისტრო ნაშრომი ეხება რესურს ოთახს და მის როლს სსსმ მოსწავლეების სწავლის პროცესში. ცნობილია, რომ საქართველოს ინკლუზიური განათლების სისტემამ განვითარების არაერთი ეტაპი გაიარა და დღესაც განიცდის ცვლილებებს. ამ პროცესის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია რესურს ოთახი, რომელიც უნდა არსებობდეს ყველა სკოლაში, რომელშიც ჩარიცხულია სსსმ მოსწავლე. რესურს ოთახი ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეების ინტეგრაციას სასკოლო სივრცეში, ეხმარებოდეს მოსწავლეს სხვადასხვა უნარის განვითარებაში. აქედან გამომდინარე, რესურს ოთახის როლის შესწავლა სსსმ მოსწავლეების სწავლის პროცესში **აქტუალური** საკითხია.

ნაშრომის ფარგლებში განვიხილავთ შემდეგს:

თავი I. ინკლუზიური განათლება

ამ თავში განვიხილავთ ინკლუზიური განათლების დანერგვას საქართველოს მაგალითზე; სამართლებრივ წყაროებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ინკლუზიური განათლების პროგრამას როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, მაგალითად: სალამანკას დეკლარაცია, გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, კანონი ზოგადი განათლების შესახებ და ა.შ.

თავი II. ინკლუზიური განათლება რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე

აქ განვიხილავთ გერმანიის, შვედეთისა და ამერიკის მაგალითს ინკლუზიური განათლების კუთხით. ვსაუბრობთ რესურს ოთახზე და განვიხილავთ ამერიკის

შეერთებულ შტატებში ჩატარებულ კვლევას: „WHAT'S "SPECIAL" ABOUT THE SPECIAL EDUCATION RESOURCE ROOM FOR LEARNING DISABLED STUDENTS?“

თავი III. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება

ამ თავში ვსაუბრობთ იმაზე თუ რას გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებ-ლო საჭიროება და ვინ შეიძლება იყოს სსსმ მოსწავლე.

თავი IV. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

აქ განვიხილავთ თუ რა არის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ვინ მონაწილეობს მის შექმნასა და განხორციელებაში, რა არის განსაზღვრული სწავლების პროცესში მისი მეშვეობით, გარდა ამისა, როგორ ხდება სსსმ მოსწავლის შეფასება, შინ სწავლება.

თავი V. რესურს ოთახი

ამ თავში განვსაზრვრავთ რესურს ოთახის რაობასა და დანიშნულებას, ვსაუბრობთ როგორ უნდა იყოს მოწყობილი და აღჭურვილი რესურს ოთახი, მისი გამოყენების პრინციპებზე. რესურს ოთახის როლი სსსმ მოსწავლეთა სწავლის პროცესში დიდია და შესაბამისად, უნდა აკმაყოფილებდეს მოსწავლეთა საჭიროებებს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განვიხილეთ არსებული ლიტერატურა და საკანონმდებლო რეგულაციები. გამოვარკვიეთ, რომ რესურს ოთახის დანიშნულება და როლი ნაკლებად შესწავლილი საკითხია, ამიტომ კვლევა წარმოადგენს **სიახლეს**.

თემატიკით დაინტერესებისა და წინასწარი კვლევის შედეგად შევიმუშავეთ **ჰიპოთეზა**: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა უმრავლესობაში რესურს ოთახები არ არის აღჭურვილი სსსმ მოსწავლეების საჭიროებების შესაბამისად, აღინიშნება სასწავლო ლიტერატურისა და პედაგოგების ნაკლებობა და შესაბამისად ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას.

სამაგისტრო ნაშრომის **მიზანია** ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოქმედი რესურს ოთახის რეალიზაციის კვლევა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლის პროცესში. მიზნის მისაღწევად დავისახეთ შემდეგი **ამოცანები**:

- სამაგიდე კვლევა: არსებული კვლევები, საკანონმდებლო ბაზა;
- კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა;

- კვლევის ინსტრუმენტის შემუშავება;
- ემპირიული კვლევის ჩატარება;
- დასკვნებისა და რეკომენდაციის შემუშავება.

ნაშრომის კვლევის **საგანია** რესურს ოთახი და მისი როლი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლის პროცესში, ხოლო **ობიექტი** - რესურს ოთახის რეალიზაციის პროცესი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლებისას.

ნაშრომში გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის **მეთოდი**, კერძოდ, მეორადი ინფორმაციის დამუშავება და ჩაღრმავებული ინტერვიუ. რესპოდენტებად მიზნობრივად შეირჩა თბილისის 14 საჯარო სკოლის სპეციალური მასწავლებლი. კვლევის შედეგები დეტალურადაა მოცემული ნაშრომში.

ნაშრომში გამოყენებულ ძირითად ტერმინთა განმარტებები

ინკლუზია - ინგლისური სიტყვაა და ქართულად ჩართვას ნიშნავს. ინკლუზიური განათლება გულიხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში თანატოლებთან ერთად.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა - წერილობითი დოკუმენტი, რომელიც შედგენილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის.

მულტიდისციპლინური გუნდი - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდი წარმოადგენს სპეციალისტთა გუნდს, რომლის ძირითად ფუნქციას საჯარო სკოლებში ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა წარმოადგენს.

რესურს ოთახი - ზოგადსაგანმანთლებლო სკოლაში არსებული სივრცე, რომელიც ხელმისაწვდომია მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის და აღჭურვილია მოსწავლეების საგანმანათლებლო საჭიროების დაკმაყოფილების ყველა აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებით.

სპეციალური მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს ასწავლის დაწყებით საფეხურზე და ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესში მის ჩართვას დაწყებით, საბაზო ან საშუალო საფეხურზე;

სსსმ მოსწავლე - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა მოსწავლე (სსსმ მოსწავლე), რომელსაც თანატოლებთან შედარებით აქვს სიძნელე სწავლაში და რომლისთვისაც საჭიროა ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება ან/და სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება.

სპეციალური სკოლა - სპეციალური სკოლები იქმნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის და სპეციალიზდება რომელიმე კონკრეტული საგანმანათლებლო საჭიროების მიხედვით.

შშმ - ტერმინი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ნიშნავს გარკვეული მოქმედების განხორციელების, გარკვეულ მოქმედებაში მონაწილეობის მიღების და

რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციაში ან გარემოში ჩართულობის შესაძლებლობების შეზღუდვას.

თავი I. ინკლუზიური განათლება

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება უძველესი დროიდანვე საკმაოდ არაჯანსაღი იყო. ანტიკურ სამყაროში ბატონობდა შეხედულება: „ლამაზ სხეულში ლამაზი სულია“. აღნიშნული მიდგომა, ყოველდღიური ცხოვრების გარდა, აისახებოდა ხელოვნებაზეც, სადაც იდეალური სხეულის გამოქანდაკება ითვლებოდა ყველაზე დიდ ხელოვნებად.

დამოკიდებულება შშმ პირების მიმართ არ შეცვლილა ფეოდალიზმის პერიოდშიც. მათ მიმართ სასტიკი მოპყრობის კუთხით, აღსანიშნავია ჰიტლერის პერიოდიც. 1839-40 წლებში 140000 ფიზიკური და გონებრივი დარღვევის მქონე ადამიანი შეეწირა გერმანელი ექიმების ექსპერიმენტებს(თ. პაჭკორია, 2008).

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ მსგავსი მანკიერი მიდგომა არსებობდა დიდი ხნის განმავლობაში წინააღმდეგობის გარეშე. შშმ პირებმა საკუთარი უფლებების, ინტერესებისა და ღირსების დაცვისთვის აქტიური ბრძოლა მხოლოდ 1890-იანი წლებიდან დაიწყეს(თ. პაჭკორია, 2008).

დღეს კი შშმ პირებთან დაკავშირებით საზოგადოების მიდგომა და შესაბამისად, მათი ცხოვრება საგრძნობლად გაუმჯობესდა. არსებობს არაერთი ორგანიზაცია თუ დოკუმენტი/კანონი (მაგ.:შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია), რომლებიც იცავენ მათ უფლებებს. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ შშმ პირთა პრობლემები გადაჭრილია. მათ ისევ უწევთ ბრძოლა იმისთვის, რომ გახდნენ საზოგადოების სრულფასოვანი ნაწილი, შეძლონ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა, დასაქმება, დაუბრკოლებლად შესვლა ისეთ შენობებში, სადაც განთავსებულია სკოლები, ბიბლიოთეკები, კინოთეატრები, უნივერსიტეტები და ა.შ. განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, აღნიშნული პრობლემები კვლავ საკმაოდ თვალშისაცემი და აქტუალურია ჩვენი ქვეყნისთვის.

რაც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა განათლებას, ამ მხრივ ყველაზე უკეთესი ვითარებაა. სახელმწიფო უზრუნველყოფს ყველა ბავშვის განათლების მიღების ხელმისაწვდომობას განურჩევლად შესაძლებლობებისა(კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 7, 11/05/2018). ამის მისაღწევად განათლების

სისტემაში დაინერგა ინკლუზიური განათლების პროგრამა, რომლის მეშვეობით ყველა ბავშვს, რომელსაც ექმნება გარკვეული სახის სირთულეები სწავლის პროცესში, შეუძლია მიიღოს თავისი შესაძლებლობების შესაბამისი განათლება დანარჩენ მოსწავლეებთან ერთად(ეროვნული სასწავლო გეგმა, თავი VIII, 11/05/2018).

§ 1.1. ინკლუზიური განათლების ისტორია საქართველოში

საქართველოში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების განათლებას, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში მათ ინტეგრაციას არც თუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დანერგვიდან დღემდე მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია.

არცთუ შორეულ წარსულში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე(სსსმ) მოსწავლეები ფორმალურ განათლებას იღებდნენ მხოლოდ ისეთ დაწესებულებებში, როგორიცაა, მაგალითად, სკოლა-ინტერნატები. მათი უმრავლესობა ყოველგვარი განათლების გარეშე რჩებოდა, იშვიათი იყო შემთხვევა, როდესაც სსსმ მოსწავლეები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებეში სწავლობდნენ, უფრო მეტიც, ისინი საზოგადოებისგან იზოლირებულად ატარებდნენ მთელ ცხოვრებას. შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს ვითარება რადიკალურად შეიცვალა.

ამის თვალსაჩინო მაგალითია განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებები. განათლების მიღება ყველა ბავშვის უფლებაა. სახელმწიფო უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის(მათ შორის, სსსმ მოსწავლის) მიერ ზოგადი განათლების მიღებას(კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 7). შშმ პირებს წლების განმავლობაში არ შეეძლოთ თანატოლებთან ერთად ესწავლათ სკოლასა თუ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში. დღეს მათ უკვე აქვთ საშუალება ჩაერთონ ინკლუზიური განათლების პროგრამაში და მიიღონ შესაბამისი განათლება(ფორმალურიც და არაფორმალურიც). თუმცა ეს პროცესი არაერთი წინააღმდეგობის წინაშე აღმოჩნდა, რომელთა შორის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად საზოგადოების მზაობა და არაჯანსაღი დამოკიდებულება უნდა დავასახელოთ.

თავად ტერმინი „ინკლუზია“ ინგლისური სიტყვაა და ქართულად ჩართვას ნიშნავს. რაც შეეხება ინკლუზიურ განათლებას, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განისაზღვრება როგორც, *„თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება“*[ეროვნული სასწავლო გეგმა, მუხლი 40].

გამოყოფენ ინკლუზიური განათლების რამდენიმე სახეს მოიცავს: სრული ჩართვა, ნაწილობრივი ჩართვა და ინტეგრირებული სწავლება.

სრული ჩართვა - გულისხმობს განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლის სრულად ჩართვას სასწავლო პროცესში, დასწრებას ყველა გაკვეთილზე და სწავლებას ამ გაკვეთილებისთვის შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმით(პაჭკორია, თ, ჭინჭარაული, ა. ლაღიძე, მ. ბაგრატიონი, 2011).

ნაწილობრივი ჩართვა - ნიშნავს სსსმ მოსწავლის დასწრებას არჩევით გაკვეთილებზე. მოსწავლისთვის იქმნება სპეციალური განრიგი და ისინი მხოლოდ განრიგით გათვალისწინებულ გაკვეთილებს ესწრებიან(თ. პაჭკორია, თ, ჭინჭარაული, ა. ლაღიძე, მ. ბაგრატიონი, 2011).

ინტეგრირებული სწავლება - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები სწავლობენ ერთ კლასში მათთვის განკუთვნილი სასწავლო პროგრამით(თ. პაჭკორია, თ, ჭინჭარაული, ა. ლაღიძე, მ. ბაგრატიონი, 2011).

საქართველოში ინკლუზიური განათლების დანერგვა 2006 წლიდან დაიწყო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და დღემდე არაერთი პრობლემის წინაშე დგას. დანერგვაში საქართველოს მნიშვნელოვანი ფინანსური და მეთოდოლოგიური დახმარება ნორვეგიის მთავრობამ გაუწია. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა განათლების სამინისტროს ინიციატივითა და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით, შეიმუშავა პროექტი, რომლის მეშვეობითაც თბილისის ათ საჯარო სკოლაში ინკლუზიური განათლების დანერგვა დაიწყო. პროექტის მიზანს ინკლუზიური განათლების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება წარმოადგენდა.

2008 წელს პროექტი „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინკლუზიური განათლების დანერგვის პროექტის თბილისის 10 სკოლისთვის“ დასრულების შემდეგ,

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ამ სკოლებში ინკლუზიური განათლების პროცესის გაძლიერების ვალდებულება აიღო. ამისთვის 10 საპილოტე სკოლაში(N 67, 130, 24, 10, 180, 87, 60, 181, 21, 160) ჩატარდა გამოკითხვა ბავშვების საჭიროებების გამოსავლენად და შედეგად სკოლებში დაიგეგმა ინკლუზიური განათლების პროცესის გასაუმჯობესებლად ხელშემწყობი აქტივობების დაფინანსება:

- სკოლებში შშმ მოსწავლეთა სპეციალისტების დაფინანსება;
- სკოლების ფიზიკური გარემოს გაუმჯობესება;
- სკოლების ტრანსპორტირებით,
- საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსითა და
- თვალსაჩინოებით უზრუნველყოფა.

(ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამა - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2009).

2008 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა და დაამტკიცა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა განათლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2009-2011 წლებისთვის. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში, დაიწყო მუშაობა სპეციალური პედაგოგების მოსამზადებლად. მისი უზრუნველყოფისთვის სამინისტრომ დაგეგმა „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში განეხორციელებინა:

1. მულტიდისციპლინური გუნდის დაფინანსების ქვეპროგრამა;
2. ექსპერტთა ჯგუფის შექმნის ქვეპროგრამა;
3. თბილისის 10 საპილოტე სკოლაში ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამა;
4. სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულების ხელშეწყობის პროგრამა (ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამა - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2009).

სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავების შემდეგ ინკლუზიური განათლება გასცდა თბილისის ფარგლებს. 2009 წლის 6 მარტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივითა და ნორვეგიის მთავრობის დახმარებით დაიწყო განხორციელება 3 წლიანმა პროგრამამ „ინკლუზიური განათლების განვითარება

საქართველოს 9 რეგიონის საჯარო სკოლებში“ (ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამა - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2009).

2009-2012 წლებში მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასების პროცედურებმა და ინსტრუმენტებმა.

2013 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ჩამოყალიბდა ინკლუზიური განათლების სამმართველო, რომლის დანიშნულება ინკლუზიურ განათლებაზე მუშაობა იყო.

2013 წელს მუშაობა დაიწყო პროფესიული განათლების შესახებ ცვლილებების შეტანაზე.

დღეს კი ყველა სკოლა, რომელსაც ჰყავს სსსმ მოსწავლე, უზრუნველყოფილია სპეციალური მასწავლებელით და რესურს ოთახით.

არსებული ვითარებით ნათელია, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ვერ უზრუნველყოფს ყველა სახის საგანმანათლებლო საჭიროების დაკმაყოფილებას, ჩვენი აზრით, ეს არ არის გასაკვირი თუ გავიხსენებთ იმას, რომ საჯარო სკოლაში სწავლობენ მძიმეინტელექტუალური თუ სენსორული დარღვევის მქონე მოსწავლეებიც, რომლებიც განსაკუთრებით საჭიროებენ ხელშეწყობას.

საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ფუნქციონირებს ასევე სპეციალიზებული სკოლა-პანსიონებიც, სადაც განათლებას იღებენ მძიმეინტელექტუალური და სენსორული შეზრუდვის მქონე ბავშვები.

„სპეციალური სკოლა (Special schools) _ სპეციალური სკოლები იქმნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის და სპეციალიზდება რომელიმე კონკრეტული საგანმანათლებლო საჭიროებისმიხედვით.“ [თ. პაჭკორია, 2011: 28]. მაგალითად, სპეციალურ სკოლაში შეიძლება ჩაირიცხონ ქცევის დარღვევის მქონე მოსწავლეები, სენსორული დარღვევის მქონე მოსწავლეები და სხვა.

სპეციალურ სკოლებს მრავალი დადებითი მხარე აქვს, როგორიც არის, მაგალითად, უსაფრთხო და დაცული გარემო, შესაძლებლობებზე მორგებული სასწავლო გეგმა, ბავშვებს აქვთ სხვა შეზრუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან ურთიერთობის საშუალება და სხვა. თუმცა დადებითთან ერთად შეგვიძლია

დავასახელოთ უარყოფითი მხარეებიც: ბავშვებს არ აქვთ სოციალური გამოცდილების მიღების საშუალება, მოწყვეტილნი არიან რეალურ ცხოვრებას, არ აქვთ სხვა თანატოლებთან ურთიერთობის, ქცევის, მოქმედებისა და კომუნიკაციის მიბაძვის საშუალება და სხვა(თ. გაგოშიძე, თ. ჭინჭარაული, ქ. ფილაური, მ. ბაგრატიონი; 2008).

გარდა ამისა, შშმ პირებს საშუალება აქვთ მიიღონ არაფორმალური განათლებაც, დღის ცენტრების მომსახურების სახით, რაც მათთვის განკუთვნილ ყველაზე დიდ სოციალურ პროგრამას წარმოადგენს. თუმცა არსებული ვითარებიდან გამომდინარე ხშირია შემთხვევები, როდესაც ფორმალური განათლება ნაცვლდება დღის ცენტრის პროგრამით. ხშირად ვაწყდებით შემთხვევებს, როდესაც შშმ პირი ფორმალურად ირიცხება სკოლაში, მაგრამ სკოლაში სიარულის ნაცვლად მთელი დღე იმყოფება დღის ცენტრში. მშობელი არჩევს დღის ცენტრს სკოლას, რადგან მათთვის უფრო მეტად უსაფრთხო გარემო და სპეციალიზებული პროგრამები დღის ცენტრის ფარგლებშია უზრუნველყოფილი. ეს კი ხელს უწყობს ბავშვების მოწყვეტას ფორმალური განათლების სისტემიდან.

ყოველივე ზემოთქმულზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ინკლუზიური განათლების კუთხით მნიშვნელოვანი ცვლილებები მიმდინარეობს. ამ მხრივ, ყველაზე უკეთესი ვითარებაა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში (პროფესიულთან და უმაღლესთან შედარებით).

მიუხედავად იმისა, რომ ინკლუზიურმა განათლებამ 2006 წლიდან დღემდე მნიშვნელოვანი ძვრები განიცადა, კვლავ არაერთი პრობლემა და გამოწვევა რჩება გადასაწყვეტი. სხვადასხვა წყაროს გაცნობის შემდეგ, მათ შორის შეიძლება დავასახელოთ:

- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განსაზღვრის მექანიზმი;
- პროფესიული კადრების ნაკლებობა, სკოლის ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სიმწირე;
- საზოგადოების ცნობიერება;
- ნაკლებნფორმირებულობა;

- ნაკლები ხელმისაწვდომობა სამედიცინო პროგრამებზე; რეაბილიტა-ცია/აბილიტაციასა და სხვა სოციალურ მომსახურებაზე; განათლებასა და დასაქმებაზე.

გარდა ამისა, პრობლემათა შორის შეგვიძლია დავასახელოთ დაფინანსებაც, რაც გარკვეულწილად შეიძლება გახდეს ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დამატებითი დაფინანსებით უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების დანერგვას (კანონი ზოგადი განათლების შესახებ მუხლი 7, პუნქტი 3), თუმცა რეალობა გვიჩვენებს, რომ დაფინანსების არსებული მოდელი ვერ პასუხობს ყველა ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროებებს.

სამწუხაროა, მაგრამ აქვე მოიაზრება მშობელიც, რომლის თანხმობის გარეშე ვერ მოხდება ბავშვისთვის საჭიროებების განსაზღვრა და ინკლუზიური განათლების პროგრამაში ჩართვა და სხვა.

უნდა ითქვას, რომ დღეს განათლების ვერც ერთი საფეხური ვერ პასუხობს სათანადოდ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა საჭიროებებს.

§ 1.2. სამართლებრივი წყაროები

ინკლუზიური განათლების პროგრამაში ჩართული მოსწავლეების უფლებათა შესახებ საუბარია სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტში (სალამანკას დეკლარაცია, გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია - 23-ე მუხლი, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია და ა.შ.), ასევე ქართულშიც (კანონი ზოგადი განათლების შესახებ, ეროვნული სასწავლო გეგმა და სხვა.). განვიხილოთ რამდენიმე მათგანი

სალამანკას დეკლარაციის(1994 წ.) მიხედვით, ყველა ადამიანი(განურჩევლად შესაძლებლობისა) განათლებას უნდა იღებდეს თანატოლებთან ერთად:

„ყველა ბავშვს აქვს უფლება ისწავლოს... ყველა ბავშვს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს ბავშვებზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროცესში, რათა მოხდეს მისი

ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილება; ინკლუზიური განათლების განხორციელება სათანადო პირობებით უზრუნველყოფს მასში ჩართულ ბავშვებს; ინკლუზიური განათლება განაპირობებს ინკლუზიური საზოგადოების წარმოშობასა და ეფექტურობას"[თ. გაგოშიძე, თ. ჭინჭარაული, ქ. ფილაური, მ. ბაგრატიონი, 2008: 7].

აქვე უნდა აღინიშნოს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციაც (1989 წ.), რომელსაც საქართველო შეუერთდა 1994 წელს(გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია).

კონვენციის 23-ე მუხლი ეხება შშმ ბავშვის უფლებას განათლების მიღებასთან დაკავშირებით:

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს უფლება აქვს მიიღოს განათლება, რათა შეძლოს ღირსეულად ცხოვრება. ასეთ ბავშვზე სახელმწიფო განსაკუთრებულად უნდა ზრუნავდეს"[გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 23: 14].

უნდა აღინიშნოს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციაც, რომლის 24-ე მუხლი ეხება განათლებას. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შშმ პირთა განათლების უფლებას და იღებენ ვალდებულებას დანერგონ ინკლუზიური განათლების სისტემა. (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 24, 12/04/201).

საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში ინკლუზიური განათლება რეგულირდება შემდეგი დოკუმენტებით:

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, სადაც ვკითხულობთ, რომ სსსმ მოსწავლისთვის სკოლა შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, მოსწავლის განათლების მიღებას სრულად აფინანსებს სახელმწიფო.

„ყველას აქვს სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება, რათა სრულად განავითაროს თავისი პიროვნება და შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობებისთვის"[საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 9, პუნქტი 3].

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის, აგრეთვე იმ მოსწავლეებისათვის, რომლებსაც ხანგრძლივი მკურნალობა სჭირდებათ, განათლების სისტემის მართვის ორგანოები ქმნიან სპეციალურ და კორექციულ

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, რომელთა შესაბამისად ხორციელდება მათი აღზრდა, სწავლება, მკურნალობა, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია. ასეთ მოსწავლეთა დაფინანსებას უზრუნველყოფს სახელმწიფო"[საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 9, პუნქტი 3].

ასევე ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელის მერვე თავში განხილულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლის პროცესთან დაკავშირებული საკითხები.

§ 1.4. ინკლუზიურ განათლებაში ჩართული პირები

სწავლის პროცესში სირთულეების გამოვლენის შემდეგ სკოლამ უნდა უზრუნველყოს მოსწავლის შესაძლებლობების შეფასება. საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის დეტალური შეფასებისთვის და მის განათლებასთან დაკავშირებული რეკომენდაციებისთვის სკოლა მიმართავს სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდი წარმოადგენს სპეციალისტთა გუნდს, რომლის ძირითად ფუნქციას საჯარო სკოლებში ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა წარმოადგენს. სხვა ფუნქციებთან ერთად, მულტიდისციპლინური გუნდი აფასებს მოსწავლეების საგანმანათლებლო საჭიროებას და კონსულტაციას უწევს სკოლების ადმინისტრაციას, პედაგოგებსა და მშობლებს, სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესთან დაკავშირებით. მულტიდისციპლინური გუნდი ფუნქციონირებს თბილისსა და რეგიონებში. გუნდის შემადგენლობაში შედის:

- ფსიქოლოგი,
- სპეც. მასწავლებელი,
- ოკუპაციური თერაპევტი.

(თ. პაჭკორია, ს. მაზმიშვილი, თ. კბილცეცხლაშვილი, ქ. იაშვილი, მ. ჭელიძე)

მულტიდისციპლინური გუნდი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების მიზნით, საჭიროების შესაბამისად, იყენებს შემდეგ მეთოდებს:

ა) ინტერვიუ;

ბ) ქცევაზე დაკვირვება;

გ) ტესტის/კითხვარის შევსება;

დ) მასწავლებლის/მასწავლებლების ან/და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების მიერ შედგენილი დოკუმენტაციის გაცნობა;

ე) მოსწავლის მიერ სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველადი მართვის მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების გაცნობა;

ვ) ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების შეფასებებისა და რეკომენდაციების გაცნობა[1].

მულტიდისციპლინური გუნდი საჭირო დოკუმენტაციის მიღებიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში აფასებს მოსწავლის სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებას და ადგენს შესაბამის დასკვნას შეფასებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში[2]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინკლუზიური განათლების კუთხით მრავალი ცვლილება განხორციელდა, თუმცა კვლავ რჩება პრობლემები. ისინი თავს იჩენს მულტიდისციპლინურ გუნდთან დაკავშირებითაც. დასახელებულ პრობლემათა შორის ჩემი ყურადღება მიიპყრო შემდეგმა:

- ძირითადად შემოიფარგლებიან ბავშვის პირველადი შეფასებით;
- სათანადოდ არ/ვერ ხდება სსსმ მოსწავლეების მეორადი შეფასება/გადაფასება;
- მულტიდისციპლინური გუნდის საქმიანობის ანალიზი და შეფასება[3];

კიდევ ერთი მნიშვნელოვენი ფიგურა ინკლუზიური განათლების სისტემის წარმატებით განხორციელების პროცესში არის სპეციალური მასწავლებელი.

2013-2016 წლების სამოქმედო გეგმის, ესგ-ს თანახმად, თუ სკოლაში ირიცხება სსსმ მოსწავლე, სახელმწიფო ან/და სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს სულ მცირე, ერთი სპეც. პედაგოგი და სასწავლო მასალით აღჭურვილი რესურს ოთახი. რაც შეეხება

---

[1] ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესები, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმი 2018, მუხლი 10, პუნქტი 6

[2] იქვე: მუხლი 10, პუნქტი 1.

[3] შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2016) განათლების ნაწილის შეფასება

სპეციალურ პედაგოგს, დღეს უკვე დასრულდა მათთვის სტატუსის მინიჭების პროცედურა და სარგებლობენ მასწავლებლის სტატუსით.

ტერმინი „სპეციალური მასწავლებელი“ განმარტებულია, როგორც *„მასწავლებელი, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს ასწავლის დაწყებით საფეხურზე და ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესში მის ჩართვას დაწყებით, საბაზო ან საშუალო საფეხურზე“* [ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 21[2], პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი;].

გამოიყო 10 ფუნქცია, რომელსაც სპეციალური მასწავლებელი ასრულებს. კერძოდ, ესენია:

- ბავშვის დაკვირვება და შეფასება,
- გეგმარება,
- ინდივიდუალური მუშაობა,
- სასწავლო პროცესის მონიტორინგი,
- რეკომენდაციები და ანალიზი,
- მედიატორობა,
- მასალის ადაპტირება,
- სასკოლო კლიმატი,
- კოორდინირება და
- თანამშრომლობა.

(ნ. გოგიჩაძე, თ. ყაჭეიშვილი, მ. უჯმაჯურიძე, 2018)

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა და დაამტკიცა სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. სტანდარტის მიხედვით, სპეციალური მასწავლებელი ჩართულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო გარემოს მოწყობაში, გარდა ამისა, შეფასებაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, პასუხისმგებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან ინდივიდუალურ მუშაობაზე, ასევე საბაზო აკადემიური და სოციალური უნარების განვითარებაზე(სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, მუხლი 55).

სპეციალური მასწავლებელი არის პიროვნება, რომელსაც აქვს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება იმისთვის, რომ:

- შეაფასოს მოსწავლის სწავლებასა და სწავლასთან დაკავშირებული სპეციალური საჭიროებები;
- განსაზღვროს და განახორციელოს სწავლების სტრატეგიები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების უზრუნველსაყოფად;
- კონსულტაცია გაუწიოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს, მის მშობელს, მასწავლებელს და სხვა სპეციალისტებს მოსწავლის სწავლასა და საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციასთან დაკავშირებით.

(თ. პაჭკორია, ს. მაზმიშვილი, თ. კბილცეცხლაშვილი, ქ. იაშვილი, მ. მჭედლიძე).

ის დასაქმებულია, სხვადასხვა მიმართულებით:

- კლასში;
- რესურს ოთახში;
- სპეციალურ/ინტეგრირებულ კლასში;
- დისტანციური სწავლება - შინ სწავლებისას;
- სპეციალურ სკოლაში (რომელიც შინაგანაწესით არის საჯარო);
- მულტიდისციპლინური გუნდის წევრად.

(ნ. გოგიჩაძე, თ. ყაჭეიშვილი, მ. უჯმაჯურიძე, 2018)

სპეციალური მასწავლებელი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სპეციალური საგანმანათლებლოს საჭიროების მქონე მოსწავლის აკადემიური უნარების განვითარების ხელშეწყობაში, მისი ქცევის, სოციალური უნარებისა და დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდაში.

სპეც მასწავლებელი საგნის მასწავლებელს ეხმარება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში, გაკვეთილის დაგეგმვაში, მოსწავლის სუსტი და ძლიერი მხარეების განსაზღვრაში და მათი გათვალისწინებით, აქტივობების, ახალი მასალის მიწოდების სწორი სტრატეგიების შერჩევაში.

სსსმ მოსწავლის კლასში ყოფნისას ხშირად იქმნება ისეთი გარემო, რომელშიც სსსმ მოსწავლე თავს გარიყულად გრძნობს. მისთვის სირთულეს წარმოადგენს

თანატოლებთან ურთიერთობა. სპეც. მასწავლებლი ასეთ შემთხვევაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს, მას შეუძლია ხელი შეუწყოს სსსმ მოსწავლესა და დანარჩენ მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას(თ. პაჭკორია, ს. მაზმიშვილი, თ. კბილცეცხლაშვილი, ქ. იაშვილი, მ. მჭედლიძე).

სპეც მასწავლებლი უშუალოდ გაკვეთილის მიმდინარეობის პროცესში ეხმარება საგნის მასწავლებელს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი აქტივობების განხორციელებაში, მოსწავლეს განუმარტავს მასწავლებლის ინსტრუქციებს და ა.შ. სპეციალური მასწავლებელი მონაწილეობს სსსმ მოსწავლის ირგვლივ მიმდინარე სასკოლო აქტივობებში. ამისთვის აუცილებელია, რომ ის კარგად იცნობდეს მოსწავლეს, მის შესაძლებლობებს, ინტერესებს, ამიტომ სპეც მასწავლებელი აქტიურად უნდა თანამშრომლობდეს როგორც მოსწავლის მასწავლებლებთან, ასევე მის მშობელთან, აღმზრდელთან.

ინდივიდუალური მეცადინეობების სიხშირესა თუ ხანგრძლივობას თავად სპეც მასწავლებელი განსაზღვრავს მოსწავლის საჭიროებებისა და არსებული გარემოს გათვალისწინებით. ინდივიდუალური მეცადინეობები მიმართულია სსსმ მოსწავლის აკადემიური, სოციალური უნარების, ქცევის გაუმჯობესებისკენ. გარდა ინდივიდუალური მეცადინეობებისა, სპეც მასწავლებელმა მოსწავლე შესაძლებელია ჩართოს ჯგუფურ აქტივობებშიც.

სპეც მასწავლებლების განათლება ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის 2008 წლის მონაცემების თანახმად, გამოკითხულ მასწავლებელთა 86%-ს აქვს უმაღლესი განათლება; გამოკითხულთაგან მხოლოდ 9 მასწავლებელს აქვს დამთავრებული ლოგოპედ-სურდოპედაგოგიკა; 2 - ლოგოპედ - დეფექტოლოგია; გამოკითხვაში მონაწილე მასწავლებელთა ძირითადი ნაწილი არის საგნის მასწავლებელი. 53% აღნიშნავს, რომ გავლილი აქვს სპეციალური ტრენინგები და კურსები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების საკითხებში(ნ. გოგიჩაძე, თ. ყაჭეიშვილი, მ. უჯმაჯურიძე, 2018).

სპეციალურ მასწავლებელთან დაკავშირებული მრავალი პრობლემა, საბედნიეროდ, უკვე აღმოიფხვრა. მათ შორისაა მათთვის სტატუსის განსაზღვრა. თუ

თავდაპირველად ისინი ითვლებოდნენ ადმინისტრაციის წევრებად, 2019 წლიდან უკვე მასწავლებლის სტატუსით სარგებლობენ(http://mes.gov.ge/content.php?id=8447&lang=geo).

საბოლოოდ, განხილული მასალიდან გამომდინარე შეიძლება დავასახელოთ დღემდე არსებული პრობლემები სპეციალურ მასწავლებელთან დაკავშირებით, რომელთაგან ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია:

- სპეციალურ მასწავლებელთა სიმცირე;
- ნაკლებკომპეტენტურობა/დაბალი კვალიფიკაცია

თავი II. ინკლუზიური განათლება რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ინკლუზია“ ნიშნავს ჩართვას. ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოში დაკავშირებულია უცხოეთში მიმდინარე პროცესებსა და ამ კუთხით მიღებულ გამოცდილებასთან.

ინკლუზიურ განათლებაში მიმდინარე პოლიტიკის მიხედვით, ევროპული ქვეყნები იყოფიან სამ კატეგორიად:

- პირველი კატეგორია (one-track approach) - მოიცავს ქვეყნებს, რომელთა პოლიტიკა და პრაქტიკა მიმართულია, რომ თითქმის ყველა ბავშვი იყოს ჩართული საშუალო განათლების სისტემაში. ეს მიდგომა გვხვდება ესპანეთში, საბერძნეთში, იტალიაში, პორტუგალიაში, შვედეთში, ისლანდიაში, ნორვეგიასა და სხვა ქვეყნებში.
- მეორე კატეგორიას (multi-track approach) მიეკუთვნება ქვეყნები, რომელთაც აქვთ მრავალმხრივი მიდგომები ინკლუზიურ განათლებაში და სთავაზობენ სხვადასხვა სახის მომსახურებას. საფრანგეთი, ირლანდია, ლუქსემბურგი, ავსტრია, ფინეთი, გაერთიანებული სამეფო, ლატვია, პოლონეთი და სხვა ქვეყნები ერთიანდებიან ამ კატეგორიაში.
- მესამე კატეგორია (two-track approach) - მოსწავლეები, რომლებიც არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (SEN), ჩვეულებრივ, განთავსებულნი არიან სპეციალურ სკოლებში ან სპეციალურ კლასებში. ამ სისტემას განსაზღვრავს საშუალო სკოლისგან განსხვავებული კანონმდებლობა. აქ უნდა დავასახელოთ შვეიცარია და ბელგია, სადაც სპეციალური განათლება საკმაოდ კარგად არის განვითარებული(C. Meijer, V. Soriano, A. Watkins, 2003).

დღეს ამ კატეგორიების მიხედვით ქვეყნების დაყოფა საკმაოდ რთულია, რადგან მათი ბოლოდროინდელი პოლიტიკა იცვლება - მაგალითად, გერმანია და ნიდერლანდები იყვნენ მესამე კატეგორიაში(two-track), მაგრამ განიცადეს ცვლილებები და გადავიდნენ მეორე(“multi-track”) კატეგორიაში.

რა თქმა უნდა, ამ ქვეყნებში ინკლუზიური განათლების განვითარების ეტაპები საკმაოდ ცვალებადი და განსხვავებულია. სახელდება განვითარების ხელისშემშლელი

ფაქტორებიც, რომელთა შორის პირველ რიგში მოიაზრება დაფინანსების სისტემა, ასევე უარყოფითად მოიაზრება კლასის ზომა(მაგალითად, საფრანგეთი) და ა.შ.

უცხოეთის ქვეყნების მაგალითზე საუბრისას უნდა აღინიშნოს კვლევა - „ინკლუზიური განათლების მაჩვენებლები საქართველოში“(2013 წ.). კვლევის ერთ-ერთ ინსტრუმენტად გამოყენებულია ევროკავშირის ქვეყნებში 2009 – 2011 წლების განმავლობაში ჩატარებული ფართომასშტაბიანი კვლევის „გზა ინკლუზიისკენ - ბარომეტრი“ კითხვარი და მეთოდოლოგია. კითხვარის საშუალებით შესაძლებელია საქართველოსა და ევროპის 10 ქვეყნის (ავსტრია, ბელგია, საფრანგეთი, ჰოლანდია, ფინეთი, სლოვენია, პორტუგალია, ირლანდია, გერმანია, უნგრეთი) შედარებითი ანალიზის გაკეთება ცალკეულ პუნქტებზე დაყრდნობით.

საქართველო 3 სფეროს მიხედვით, ევროპის 10 ქვეყანასთან მიმართებაში განსხვავებულ ადგილს იკავებს; კერძოდ, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი საკანონმდებლო ბაზის თვალსაზრისით, საქართველო გერმანიის მსგავსად ნაწილობრივ მხარდამჭერთა რიცხვში მოხვდა. აღმოჩნდა, რომ საუკეთესო საკანონმდებლო ბაზა ფინეთს, ავსტრიასა და საფრანგეთს აქვთ. ინკლუზიური განათლების პრაქტიკის თვალსაზრისით კი, საქართველოში უნგრეთის, ჰოლანდიის, გერმანიისა და სლოვენიის მსგავსი სიტუაციაა – პრაქტიკის დონეზე გარკვეული ცვლილებები უკვე ხორციელდა, თუმცა ეს ყველაფერი არასაკმარისია(თ. ჭინჭარაული, ნ. ჯავახიშვილი, 2013).

კვლევაში აღნიშნულია ისიც, რომ ევროპის ზოგიერთ ქვეყანასთან შედარებით საქართველოში არა მხოლოდ დაწყებითი, არამედ მთლიანად ზოგადი განათლებაა უფასო. ეს ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების საჯარო და სპეციალური პროფილის სკოლებში განათლების მიღების შესაძლებლობას.

ახლა უშუალოდ განვიხილოთ რამდენიმე ქვეყნის მაგალითი ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით:

§ 2.1. გერმანია

ინკლუზიური განათლება არის მთავარი საშუალება, რომ ყველა მოსწავლე, მიუხედავად ფიზიკური, მენტალური, სოციალური თუ პიროვნული შესაძლებლობებისა, დაიშვას სკოლაში საცხოვრებელთან ახლოს. 2009 წლიდან, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის (UN Disability Rights Convention) რატიფიცირების შემდეგ, გერმანია ვალდებულია დაიცვას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები. აქ ცალკეული შტატები ცდილობენ შეცვალონ რეგულაციები და სასკოლო კანონები იმისთვის, რომ გარანტირებული იყოს თანაბარი მონაწილეობა და ინდივიდუალური მხარდაჭერა სკოლაში. ამიტომ ისინი ცვლიან სკოლისა და კლასების დიზაინს, მუშაობენ მასწავლებლების ტრენინგებზე და ქმნიან სხვა პროფესიონალთა გუნდებსაც ამა თუ იმ მოსწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე, ცდილობენ დაეყრდნონ მოსწავლეთა ძლიერ მხარეებს.

რატიფიცირებიდან ექვსი წლის შემდეგ, ინკლუზიური განათლება სკოლებში არ არის სრულყოფილად განვითარებული, თუმცა შშმ მოსწავლეებს კანონიერი უფლება აქვთ იარონ სკოლაში. სკოლაში ნებადართულია ცვლილებების განხორციელებაც თუ სკოლის პერსონალი, მატერიალური ან სივრცითი პირობები ვერ აკმაყოფილებს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს(J.W. Meijer, 2003).

§ 2.2. შვედეთი

შვედეთის განათლების აქტი(The Swedish Education Act) ითვალისწინებს განათლების ხელმისაწვდომობას ყველა მოსწავლისა და ახალგაზრდისთვის, მიუხედავად სქესის, გეოგრაფიული მდებარეობის, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობისა. იგი აცხადებს, რომ განათლებამ უნდა მისცეს მოსწავლეს ცოდნა და უნარები, ხელი შეუწყოს განვითარდეს პასუხისმგებელ და საზოგადოების წევრ პირად („give the pupils knowledge and skills and, in partnership with homes, promote their balanced development into responsible individuals and members of society“). შემდეგ „The Education

Act“-ს დაემატა განკარგულებები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისთვის.

1950-იანი წლების ბოლოდან, შვედეთის საშუალო სკოლაში იზრდება რაოდენობა მოსწავლეებისა შეზღუდული შესაძლებლობებით (SEN).

შვედეთში მუნიციპალიტეტები აწარმოებენ პროგრამებს მოსწავლეებისთვის, რომელთაც აქვთ მძიმე პრობლემები სწავლაში. ამ მოსწავლეთა განათლების მიღება ხორციელდებოდა სპეციალურ კლასებში. ყველა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლის პროცესი გულისხმობს მშობლების, ექსპერტებისა და რამდენადაც შესაძლებელია თავად მოსწავლეთა ჩართვას.

სსსმ მოსწავლეებს შეუძლიათ მიიღონ სხვადასხვა სახის დახმარება. თუ საჭიროება არ მოითხოვს პედაგოგიური პერსონალისა და სპეციალური კლასის გამოყენებას, სპეციალური განათლების მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეს დაეხმაროს კლასში ან ჯგუფში კლასის გარეთ.

მოსწავლეები, რომლებიც არიან ავად ხანგრძლივი პერიოდი, შეუძლიათ ისწავლონ საავადმყოფოში ან სახლში.

შვეიცარიაში სპეციალური სკოლები არის მხოლოდ ყრუ ან სმენადაქვეითებული მოსწავლეებისთვის(J.W. Meijer, 2003).

§ თავი 2.3. ამერიკა

ინკლუზიური განათლების წინა პლანზე წამოწევა ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყო XX საუკუნის 70-იანი წლებიდან. დღეს ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობის („კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების შესახებ“, მოქმედებს 2002 წლიდან) მიხედვით ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია მოეპყრას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს ისევე, როგორც სხვა ბავშვებს, შეცვალონ თავიანთი საქმიანობა და საგანმანათლებლო პროგრამები ისე, რომ დაკმაყოფილდეს მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების შესახებ კანონის თანახმად, ყველა შტატმა მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა

და შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე ბავშვების ერთად სწავლება, ხოლო სპეციალური განათლება, განცალკევებით სწავლება ჩვეულებრივი საგანმანათლებლო სივრციდან მოხდეს მხოლოდ იმ შემთხევაში, როცა დაავადებიდან გამომდინარე ჩვეულებრივ კლასებში ხარისხიანი განათლების მიღება შეუძლებელია დამატებითი საშუალებებისა და მომსახურების გამოყენებითაც კი(მ.ხარებავა, ჟ. ჯავახიშვილი, ნ. ქობალია, 2006).

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარდა კვლევა - „WHAT'S "SPECIAL" ABOUT THE SPECIAL EDUCATION RESOURCE ROOM FOR LEARNING DISABLED STUDENTS?“ მასში აღნიშნულია, რომ რესურს ოთახი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ინკლუზიურ განათლებაში, სადაც მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს იმუშაოს მოსწავლეების მცირე ჯგუფებთან ან ინდივიდუალურად. კვლევაში მონაწილეობდა 8 სსსმ მოსწავლე, რომელთაც ეძლეოდათ სხვადასხვა სასწავლო ინსტრუქცია რესურს და საკლასო ოთახში. კვლევაში შეადარეს მოსწავლეების მიერ დახარჯული დრო საკლასო და რესურს ოთახში. მათი დიდი ნაწილი სკოლაში აქტიური იყო ძალიან მცირე ხნით. ორი დღის განმავლობაში 10 წუთიანი ინტერვალით აძლევდნენ მოსწავლეებს სასწავლო ინსტრუქციებს საკლასო ოთახში, ამის შესაძლებლობა ჰქონდათ შემდეგ რესურს ოთახშიც (ინსტრუქციები ამ შემთხვევაში იყო უფრო ინდივიდუალური) დიდი არა, მაგრამ მცირე განსხვავება მაინც აღინიშნა: კვლევის მსვლელობისას მოსწავლეები საშუალოდ 29 წუთის განმავლობაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი მიცემულ დავალებებში რესურს ოთახში და მხოლოდ 19 წუთი საკლასო ოთახში. კვლევაში ვკითხულობთ, რომ რესურს ოთახი აუცილებელია სსსმ მოსწავლეების სწავლების პროცესში(Martha L. Thurlow, James E. Ysseldyke, Janet L. Graden, and Bob Algozzine, 2014).

რესურს ოთახი უცხოურ მასალაში განისაზღვრება როგორც, ადგილი, სადაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები ესწრებიან ყოველდღიურ მეცადინეობებს. აქ მათ უტარდებათ ინდივიდუსლური და ჯგუფური მეცადინეობები. რესურს ოთახში ჯგუფური მუშაობის დროს მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა შეიძლება იყოს ხუთი (https://simple.wikipedia.org/wiki/-Resource_room).

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები ატარებენ სასწავლო დღის ნაწილს ან მთელ დროს რესურს ოთახში. ზოგ მოსწავლეს კი უდგენენ ინდივიდუალურ გრაფიკს, მაგალითად, მოსწავლის საჭიროებები შეიძლება მოითხოვდეს რესურს ოთახში მის ყოფნას მხოლოდ მათემატიკაში და ა.შ. ზოგი მოსწავლე კი დღის ძირითად ნაწილს ატარებს აქ, მაგალითად, ემოციური ან ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეები. (Teaching in the Resource Room -https://www.jobmonkey.com/schoolteaching/resource-room/).

გარდა ამისა, განათლების იურისდიქცია განსაზღვრავს დროს, რომელიც მოსწავლემ უნდა გაატაროს რესურს ოთახში. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს მინიმუმ 3 საათი კვირაში, სულ მცირე 45 წუთი კვირაში სამჯერ მოსწავლეთა ასაკისა და საჭიროებების შესაბამისად(Introduction to Special Education Resource - https://www.thoughtco.com/special-education-resource-room-3110962).

თავი III. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული დოკუმენტი - ეროვნული სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვით, **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა მოსწავლე**(სსსმ მოსწავლე), *„რომელსაც აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები, ვერ ძლევს შესაბამისი კლასისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს ან/და საჭიროებს ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციას/გაფართოებას, გარემოს ადაპტაციას, ალტერნატიულ სასწავლო გეგმას ან/და სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას“* [ეროვნული სასწავლო გეგმა, თავი VIII, მუხლი 41].

სსსმ მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს:

ა) ფიზიკური შეზღუდვა;

ბ) ინტელექტუალური განვითარების დარღვევა;

გ) სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის);

დ) მეტყველების განვითარების დარღვევა;

ე) ქცევითი და ემოციური დარღვევა;

ვ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;

ზ) სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში(ეროვნული სასწავლო გეგმა, მუხლი 41).

ტერმინის - „სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროება“, დამკვიდრება აუცილებელი გახდა მას შემდეგ, რაც სპეციალისტებმა აღიარეს, რომ სირთულეები სწავლის პროცესში მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (ტერმინი ნიშნავს გარკვეული მოქმედების განხორციელების, გარკვეულ მოქმედებაში მონაწილეობის მიღების და რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციაში ან გარემოში ჩართულობის შესაძლებლობების შეზღუდვას) ბავშვს არ ახასიათებს. 2003 წელს შოტლანდიის განათლების დეპარტამენტმა კანონმდებლობაში ცვლილება შეიტანა სკოლის სტანდარტებთან დაკავშირებით. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში არის ის, რომ ტერმინი „სპეციალური საჭიროების მქონე“

შეიცვალა ტერმინით „სწავლისას დამატებითი დახმარების საჭიროების მქონე“. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ბავშვს არ აღენიშნება რაიმე ტიპის თვალსაჩინო დაზიანება, მაინც ექმნებათ სირთელეები სწავლის პროცესში. ბევრ მოსწავლეს, რომელთაც აქვთ, მაგალითად, დისლექსია, კითხვის, წერისა და მეტყველების დარღვევები, ჰიპერაქტიურობის სინდრომი და ა.შ. არ აქვთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი, თუმცა სწავლის პროცესში ექმნებათ გარკვეული სახის პრობლემები და საჭიროებენ სპეციალურ მიდგომებს. ამ და სხვა პრობლემების გამო გამოვლენილი სირთულეები ხშირად სიზარმაცით ფასდება, ამ მხრივ, უნდა გამოვყოთ ინკლუზიური განათლების დანერგვამდე პერიოდი, როდესაც ვერ ხერხდებოდა აღნიშნული პრობლემების იდენტიფიკაცია, რაც ხელს უშლიდა განათლების მიღების პროცესს(თ. პაჭკორია, ს. მაზმიშვილი, თ. კბილცეცხლაშვილი, მ. ჭელიძე). სხვა მხრივ, მოსწავლეთა ნაწილს აქვთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი, მაგრამ მათ არ ექმნებათ სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები და სჭირდებათ მხოლოდ ფიზიკური გარემოს ადაპტირება. შესაბამისად, მოსწავლისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრა დამოკიდებულია არა მის სამედიცინო დიაგნოზზე, ან შეზრუდული შესაძლებლობის სტატუსზე, არამედ სირთულეებზე სწავლის პროცესში.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს სჭირდება დახმარება შემდეგ სფეროებში: კითხვა, წერა, ანგარიში, ინფორმაციის გადამუშავება, საკუთარი აზრის და შეხედულებების გამოხატვა, სხვების აზრის გაგება, ქცევა, თანატოლებთან და პედაგოგებთან ურთიერთობა და ა.შ.

იმისთვის, რომ სსსმ მოსწავლემ გარკვეულწილად დაძლიოს ეს პრობლემები და შეძლოს ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში, თანატოლებთან ერთად, იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა(ეროვნული სასწავლო გეგმა, თავი VIII, მუხლი 42).

თავიIV. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (Individual educational plan) - წერილობითი დოკუმენტი, შედგენილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის(თ. პაჭკორია, 2011).

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ამავდროულად არის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი (ეროვნული სასწავლო გეგმა, მუხლი 42, პუნქტი 1).

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას, მისი დაკმაყოფილების გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. გარდა ამისა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ინფორმაციას ბავშვის ინტერესების, ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ აკადემიური, შემეცნებითი, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების მიხედვით.

სკოლამ უნდა ჩამოაყალიბოს ინდივიდულური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად ჯგუფი (ისგ ჯგუფი), რომელიც შეიმუშავებს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. ისგ ჯგუფში უნდა გაერთიანდნენ:

ა) სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებელი;

ბ) საგნის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს;

გ) სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი/სპეციალისტები;

დ) სსსმ მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი;

ე) საჭიროების შემთხვევაში მოწვეული სხვა სპეციალისტი.

(ეროვნული სასწავლო გეგმა მუხლი 42[1]

სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენამდე, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეფასდეს მოსწავლის უნარები, მისი ძლიერი და სუსტი მხარეები (აკადემიური, მოტორული, შემეცნებითი, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების მიხედვით). ამის შემდეგ იწყება მუშაობა უშუალოდ ისგ-ზე, რომელშიც უნდა განისაზღვროს როგორც გრძელვადიანი, ისე მოკლევადიანი მიზნები

და მათ შესასრულებლად საჭირო აქტივობები იმ საგანში ან საგნებში, რომლებშიც სსსმ მოსწავლეს ექმნება გარკვეული სახის სირთულეები. გარდა ამისა, განისაზღვრება:

- დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას თითოეულ საგანში;
- მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ჯგუფური/ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების გრაფიკი, ადგილი და ხანგრძლივობა;
- დამატებით ჯგუფურ/ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი;
- სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი რესურსი (სახელმძღვანელოები და მოსწავლისათვის საჭირო სხვა საგანმანათლებლო/განმავითარებელი რესურსი) და რესურსით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი;
- მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსები.

  (ეროვნული სასწავლო გეგმა, მუხლი 42, პუნტი 7)

  ინდივიდუალური სასწავლო გეგმა კიდევ უფრო მეტად უნდა უწყობდეს ხელს მოსწავლის ჩართვას სასკოლო და საკლასო აქტივობებში.

სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, როგორც ფასდება ნებისმირი სხვა მოსწავლის აკადემიური მიღწევა. თუ სსსმ მოსწავლე განათლებას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, ფასდება მის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. სსსმ მოსწავლე, რომელიც წარმატებით ძლევს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ფასდება მაღალი ქულით. ესგ-ის მიხედვით, მოსწავლეს შეიძლება არ ჰქონდეს სემესტრული შეფასება ერთ ან რამდენიმე საგანში, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლის გადავიდეს მომდევნო კლასში(გამონაკლისი დაიშვება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე). თუ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია წლიური გამოცდის ჩატარება და მას აბარებენ ის სსსმ მოსწავლეებიც, რომლებიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლობენ, სკოლამ უნდა უზრუნველყოს საგამოცდო მასალის ადაპტირება – უნდა შეიქმნას ინდივიდუალური საგამოცდო პროგრამა, რომელიც დაეყრდნობა სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას(ეროვნული სასწავლო გეგმა, მუხლი 43).

გარდა ამისა, ესგ მოიცავს სსსმ მოსწავლეების შინ სწავლების ფორმასაც. აღნიშნულ ფორმას სკოლა მიმართავს მაშინ, როდესაც სსსმ მოსწავლე ჯანმრთელობის პრობლემის გამო ვერ დადის სკოლაში. ამ შემთხვევაში სკოლა მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს, რომლის დასკვნის საფუძველზე მოსწავლე იწყებს შინ სწავლებას. მისთვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო *გეგმა. „სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლისთვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნის(გარდა ფიზიკური აღზრდისა) კვირაში მინიმუმ ერთი აკადემიური საათის ოდენობით ჩატარებას“* [ეროვნული სასწავლო გეგმა - მუხლი 44]. მოსწავლესთან ვიზიტს ახორციელებს სკოლის მიერ განსაზღვრული საგნის ან საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური მასწავლებელი (ეროვნული სასწავლო გეგმა, მუხლი 44).

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო მანამდე უკვე იდენტიფიცირებული სსსმ მოსწავლეებისთვის – ორი კვირის ვადაში. საჭიროებიდან გამომდინარე შეიძლება მოიცავდეს ყველა საგანს ან რომელიმე კონკრეტულ საგანს/საგნებს (ეროვნული სასწავლო გეგმა მუხლი 42 - პუნქტი 5,6).

თავი V. რესურს ოთახი

იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საჭიროებები აუცილებელია სკოლის ფიზიკური გარემოს ადაპტირება და სკოლის აღჭურვა შესაბამისი ინვენტარით. ეს სკოლის ფიზიკური გარემოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებაზე მორგებას გულისხმობს.

გარდა ამისა, სკოლას, რომელშიც ირიცხება სსსმ მოსწავლე, აუცილებლად ჰყავდეს სპეციალური მასწავლებელი, ჰქონდეს მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ა.შ. ასევე სკოლის შემადგენელი და მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა იყოს **რესურს ოთახი,** სადაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები დაისვენებენ, ჩაუტარდებათ დამატებითი გაკვეთილები, სადაც ისინი შეხვდებიან ფსიქოლოგებს, სპეციალურ მასწავლებლებს და ა.შ. შესაბამისად, სკოლამ უნდა გამოყოს ერთი ოთახი და ეს ოთახი აღჭურვოს შესაბამისი ავეჯით, სასწავლო ვიზუალური მასალით, წიგნებითა და კომპიუტერით.

რესურს-ოთახი – *„სკოლაში არსებული სივრცე, რომელიც ხელმისაწვდომია მასწავლებლების, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტებისათვის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის და აღჭურვილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებიდან გამომდინარე აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რომელსაც განსაზღვრავს სკოლა და/ან სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდი“*[4]

„სარესურსო ოთახის ძირითადი დანიშნულებაა, დაეხმაროს ბავშვს ამა თუ იმ საგნის ათვისებასა და სწავლისთვის საჭირო უნარების განვითარებაში. სწავლის ეს ფორმა შუალედურია სპეციალური განათლებისა და ინკლუზიური განათლების მოდელებს შორის“[თ. გაგოშიძე, თ. ჭინჭარაული, ქ. ფილაური, მ. ბაგრატიონი, 2008; 22]

[4] ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 2

რესურს ოთახში ყოფნა და დამატებითი მეცადინეობა მოსწავლის საგაკვეთილო განრიგის შემადგენელი ნაწილია. აქ მათ შესაძლებლობა ეძლევათ, საჭიროებისამებრ, დაისვენონ, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად იმეცადინონ, მოსწავლეთა რესურს ოთახში ყოფნის სიხშირესა და ხანგრძლივობას მისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა განსაზღვრავს.

რესურს ოთახში ყოფნა დამხმარე საშუალებაა და არა მისი სწავლების ფორმა. სწავლება და სწავლა მიმდინარეობს გაკვეთილზე ყველასთან ერთად, ხოლო რესურს ოთახს იყენებენ ნასწავლის განმტკიცებისა და გავარჯიშებისთვის. რესურს ოთახის გამოყენება ასევე შესაძლებელია სსსმ მოსწავლეთა დასვენებისა და კლასელებთან ერთად კლასგარეშე აქტივობებისთვის.

მართალია სკოლამ, რომელშიც სწავლობს სსსმ მოსწავლე, აუცილებლად უნდა გამოყოს სივრცე რესურს ოთახისთვის, მაგრამ მხოლოდ გამოყოფა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ის დამხმარე რგოლი გახდეს სწავლების პროცესში. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სკოლებისთვის შეიმუშავა რეკომენდაციები რესურს ოთახის მოწყობისა და ფუნქციონირების შესახებ, რათა მან შეძლოს თავისი დანიშნულების შესრულება.

§ 5.1. **როგორ უნდა იყოს მოწყობილი რესურს ოთახი**:

რესურს ოთახის შერჩევისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ იგი იყოს ნათელი, ჰქონდეს ფანჯარა, ნიავდებოდეს და ადვილად მისადგომი იყოს ეტლით მოსარგებლე თუ სხვა საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის(ამიტომ უმჯობესია ოთახი აირჩეს პირველ სართულზე). ოთახის მოწყობის დროს მნიშვნელოვანია წინასწარ განისაზღვროს განათება(ბუნებრივი და ხელოვნური განათების თანაფარდობა), ფერები(უმჯობესია კედლები იყოს ნათელი, თბილი ფერებით შეღებილი) და აკუსტიკა. ეს ყოველივე მნიშვნელოვანია ფაქტორია ზოგადად სკოლის მოწყობის დროსაც, განსაკუთრებით სსსმ მოსწავლეებთან დაკავშირებით, რადგან მათთვის სულ მცირე რამ შეიძლება გახდეს გადაღლისა თუ გაღიზიანების გამომწვევი მიზეზი. იატაკი უმჯობესია იყოს ხის, ხოლო იატაკის გარკვეულ ნაწილზე უნდა იყოს ან რბილი იატაკი,

ან საგები მოსწავლეების რელაქსაციისთვის. საუკეთესო შემთხვევაში რეკომენდებულია რესურს ოთახის სივრცე დაყოფილი იყოს რამდენიმე ზონად: სამეცადინო, მოსასვენებელი ზონა, ჯგუფური და ინდივიდუალური მეცადინეობის, წიგნების და განმავითარებელი რესურსების კუთხე. ამ ჩამონათვალიდან, ვფიქრობ, სამეცადინო კუთხესთან ერთად აუცილებლად უნდა არსებობდეს მოსასვენებელი კუთხე მაინც. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სხვადასხვა დარღვევის მქონე მოსწავლეები ირიცხებიან, მათ სწავლისთვის სხვადასხვა ძალისხმევა სჭირდებათ, რაც ხშირად გადაღლის მიზეზიც ხდება. იმისთვის, რომ სწავლა მოსაბეზრებელი და უინტერესო არ გახდეს აუცილებლად სჭირდებათ დასვენება, მათთვის სასურველ მოვლენებზე გადართვა, ძალების აღდგენა[5] .

§ 5.2. რესურს ოთახის აღჭურვა:

რესურს ოთახის აღჭურვისას, უნდა გავითვალისწინით სკოლაში ჩარიცხული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ინტერესები, საჭიროებები, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში გაწერილი მიზნები და აქტივობები, რათა რესურს ოთახში არსებული რესურსები ხელს უწყობდეს მიზნის განხორციელებას.

რესურს ოთახის აღჭურვილობა უნდა მოიცავდეს ინვენტარს(ავეჯი, აუდიო და ვიდეო აპარატურა, კომპიუტერი, პრინტერი, ქსეროქსი) და მრავალფეროვან თვალსაჩინო მასალას, ასევე ავეჯს(მაგიდები, სკამები, პუფები, ხალიჩა, სავარძელი). მნიშვნელოვანია ისიც, რომ სკოლამ გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების საჭიროებებიც და ავეჯი იყოს ადაპტირებული.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია რესურს ოთახში თვალსაჩინო სასწავლო მასალის არსებობა, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში გაწერილ მიზნებსა და დაგეგმილ აქტივობებს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებს სწავლის პროცესში სხვადასხვა

[5] სკოლებში რესურს ოთახების მოწყობა და ფუნქციონირება - განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ შემუშავებული დოკუმენტი მასწავლებლებისთვის

სახის სირთულეები ექმნებათ(მოტორული, აკადემიური, კოგნიტური, ქცევის და ა.შ.), შესაბამისად რესურს ოთახში არსებული მასალა სხვადასხვა კუთხით უნდა უწყობდეს ხელს მოსწავლეთა შესაძლებლობების განვითარებას. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლებს სთავაზობს სასწავლო-განმავითარებელი მასალის ჩამონათვალს, რომელიც შეიძლება შეიცვალოს საჭიროებისამებრ:

- თვალსაჩინო მასალები;
- პოსტერები;
- ასაწყობი და განმავითარებელი სათამაშოები;
- კუბები, ლეგო და სხვა კონსტრუქციული სათამაშოების ნაკრებები;
- ხმოვანი და სენსორული სათამაშოები და წიგნები;
- სამაგიდო თამაშები(ლოტო, ფაზლი, დომინო და სხვა);
- პლასტელინები, თიხა, კინეტიკური ქვიშა;
- ფანქრები, ფლომასტერები, პასტელები, აკვარელი, ცარცი, გუაში და სხვა სახატავი რესურსები;
- სხვადსხვა ბადიანი და სახატავი რვეულები;
- რვეულები;
- გასაფერადებლები;
- ფერადი ფურცლები;
- წებო, ჭიკარტი, სკრეპები და სხვა;
- ფაილები, ბაინდერები, ბლოკნოტები და სხვა;
- მოთხრობებისა და ზღაპრების ფერადი დასურათებული წიგნები;
- პლაკატები, სურათები, ფოტოები;
- მაგნიტური დაფა;
- მაგნიტური, ხის ან/და პლასტმასის ციფრების და ასოების ნაკრები;
- ხის განმავითარებელი სათამაშოები;
- საათი, კალენდარი;
- ფუნქციური უნარების განმავითარებელი სათამაშოები(მაგ.: ზონარის, ღილის, ელვის შეკვრის შესწავლისთვის);

- პირადი დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გამოსაყენებელი ინვენტარი, მაგ.: ჭურჭელი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა;
- ქვიშა, გირჩები, ფოთლები, ნიჟარები
- და ა.შ[6].

სხვადასხვა თვალსაჩინოების დამზადება შესაძლებელია თავად სპეციალური მასწავლებლისა და საგნის მასწავლებლის მიერ ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, რაც უფრო ეფექტურს გახდის მუშაობას დასახული მიზნის მისაღწევად.

რესურს ოთახში არსებულმა მასალამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეების განვითარებას სხვადასხვა კუთხით:

- მოტორული (ნატიფი და მსხვილი) უნარების განვითარებას;
- წინააკადემიური უნარების განვითარებას;
- აკადემიური (წერა, კითხვა, ანგარიში, თხრობა) უნარების გაუმჯობესებას;
- კოგნიტური უნარების (აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება) განვითარებას;
- მეტყველების (იმპრესიული და ექსპრესიული) განვითარებას;
- სოციალიზაციას და კომუნიკაციას;
- ქცევის პოზიტიურ მენეჯმენტს;
- წინაპროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას;

ზოგადად, დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდას და ადაპტური უნარების განვითარებას.

ამ უნარების განვითარებისთვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს რა სახისა და სირთულის პრობლემა აქვს მოსწავლეს და როგორ უნდა მოხდეს ამ პრობლემის აღმოფხვრა; შემდეგ კი უნდა განისაზღვროს დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო რესურსები.

სკოლას კონკრეტული მოსწავლისთვის საჭირო სასწავლო მასალის შერჩევაში სამინისტროს მიერ გაკეთებული მასალის ჩამონათვლის გარდა, ეხმარება

[6] სკოლებში რესურს ოთახების მოწყობა და ფუნქციონირება - განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ შემუშავებული დოკუმენტი მასწავლებლებისთვის

მულტიდისციპლინური გუნდის მიერ გაკეთებული მოსწავლის შეფასება და მასში გაწერილი რეკომენდაციები.

§ 5.3 რესურს ოთახის გამოყენების პრინციპები

სკოლაში აუცილებლად უნდა გამოიყოს სივრცე რესურს ოთახისთვის სსსმ მოსწავლეების განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით. თუმცა საკმარისი არ არის მხოლოდ ოთახის გამოყოფა თუ მას არ გამოიყენებენ დანიშნულებისამებრ.

რესურს ოთახი უნდა გახდეს საგაკვეთილო პროცესის განუყოფელი ნაწილი. მასში შესაძლებელია როგორც ინდივიდუალური ისე ჯგუფური მეცადინეობების ორგანიზება, რაც უნდა განისაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განისაზღვრება ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ყოფნის ხანგრძლივობა და სიხშირე აღნიშნულ ოთახში.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ირიცხებიან მოსწავლეები, რომელთაც სხვადასხვა პრობლემები და შესაბამისად სხვადასხვა საჭიროებები აქვთ. ხშირად მოსწავლეთა გარკვეული ნაწილისთვის რესურს ოთახში ყოფნა საგაკვეთილო პროცესის ყველაზე სასიამოვნო ნაწილია. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ რესურს ოთახში ვიზიტი არ უნდა იყოს სსსმ მოსწავლის არასასურველი ქცევის გამოვლენის თანმდევი პროცესი. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსწავლეს განუმტკიცდება კლასში არასასურველი ქცევის გამოვლენა, ყოველივე ეს კი უარყოფითად აისახება სწავლის შედეგზეც[7].

დღეს საქართველოში არსებულ თითქმის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელშიც ირიცხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, სპეციალურ მასწავლებელთან ერთად არის რესურს ოთახი. როგორც უკვე ვთქვით, ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით არა ერთი პრობლემა იჩენს თავს. როგორც ინკლუზიური განათლების ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი

[7] სკოლებში რესურს ოთახების მოწყობა და ფუნქციონირება - განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ შემუშავებული დოკუმენტი მასწავლებლებისთვის

ნაწილი, რესურს ოთახიც არ არის გამონაკლისი და მასთან დაკავშირებითაც შეგვიძლია დავასახელოთ რამდენიმე სავარაუდო პრობლემა:

- მოსწავლეთა სხვადასხვა კუთხით (მოტორული, კოგნიტური, აკადემიური, ფუნქციური და ა. შ. უნარები) განსავითარებლად საჭირო რესურსების ნაკლებობა;
- კადრების ნაკლებკომპეტენტურობა (რესურს ოთახის დანიშნულების არ ცოდნა, არსებული რესურსების სწორად გამოყენების არ ცოდნა და ა.შ.);
- რესურს ოთახში გასატარებელი დროის არ განსაზღვრა;
- რესურს ოთახის საჭიროზე მეტი დროით გამოყენება, რაც ხელს უშლის ინკლუზიური განათლების მთავარ პრინციპს - ჩართვას სხვა მოსწავლეებთან ერთად;

რესურს ოთახთან დაკავშირებულ ამ პრობლემათა სავარაუდო ჩამონათვალს, ვფიქრობ, კვლევის შედეგად კიდევ დაემატება რამდენიმე პრობლემა.

კვლევითი ნაწილი

კვლევის ზოგადი აღწერა

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩავატარეთ თვისებრივი კვლევა. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ თბილისის საჯარო სკოლების სპეციალური მასწავლებლები და ამ სკოლებში არსებული რესურს ოთახები. კვლევის პროცესში ჩავატარეთ სიღრმისეული ინტერვიუ სპეციალურ მასწავლებლებთან, გარდა ამისა იმისათვის, რომ თავიდან აგვეცილებინა მათგან სუბიექტური დამოკიდებულება, საშუალება გვქონდა გავცნობოდით რესურს ოთახში არსებულ ვითარებას.

კვლევის დიზაინი და მეთოდი

კვლევის პირველ ეტაპზე შევისწავლეთ ინკლუზიური განათლების ირგვლივ არსებული საკითხები, დოკუმენტები. განხილულ მასალაზე დაყრდნობით შევადგინეთ ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი და ჩავატარეთ ინტერვიუ თბილისის 14 საჯარო სკოლის სპეც მასწავლებელთან. გასაკვირი არ არის, რომ მათი როლი ძალიან დიდია რესურს ოთახის სწორად ფუნქციონირების პროცესში. მასწავლებლებთან გასაუბრებისას ნათელი გახდა, რომ რესურს ოთახთან დაკავშირებით კვლავ არაერთი პრობლემა არსებობს.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, კვლევის ფარგლებში საშუალება გვქონდა გავცნობოდით უშუალოდ რესურს ოთახში არსებულ ვითარებასაც. იგი საგაკვეთილო პროცესის განუყოფელი ნაწილია და მოსწავლეს ხელს უწყობს სასკოლო სივრცეში ინტეგრაციასა და სხვადასხვა უნარების განვითარებაში. ამის მისაღწევად რესურს ოთახი აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი რესურსითა და საშუალებებით, დაყოფილი იყოს ზონებად(სამეცადინო, მოსასვენებელი და ა.შ.) და გარდა სწავლისა, იძლეოდეს განტვირთვისა და დასვენების საშუალებასაც.

რესურს ოთახში არსებული ვითარების გაცნობის შემდეგ, ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ ნამდვილად არის სამუშაო მასალის, ლიტერატურის სიმცირე. სკოლათა უმრავლესობაში შევხვდით ისეთ მასალებს, როგორებიცაა: კინეტიკური ქვიშა, ასაწყობი კუბები, პაზლები და ა.შ. თვალსაჩინო მასალაც მწირია(ძირითადად ანბანი და წელიწადის დროები ან რიცხვები). ფუნქციური უნარების განმავითარებელ

სათამაშოებს, მაგალითად, ზონარის, ელვის, ღილის შეკვრის შესწავლისთვის საჭირო ნივთებს, სამწუხაროდ, ვერ შევხვდით ვერც ერთ სკოლაში.

რაც შეეხება სივრცეს რესურს ოთახში, ნამდვილად მწირია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ის ერთი საკლასო ოთახის ან ზოგჯერ უფრო პატარა მოცულობისაა. ეს მაშინ, როდესაც ოთახში ორი სპეც მასწავლებელი მუშაობს და სკოლაში მინიმუმ 10-11 მოსწავლეა. შესაბამისად, სივრცის ნაკლებობა საშუალებას არ იძლევა ცალკე გამოიყოს სასწავლო და მოსასვენებელი ზონა. ძალზე იშვიათად ვხვდებით რესურს ოთახში რბილ ავეჯს, პუფებს, დივანს და ა.შ. შესწავლილი სკოლებიდან მხოლოდ სამს გააჩნდა მოსასვენებელი ზონა თავისი ავეჯით.

რესურს ოთახში არსებული ავეჯი არც ერთ სკოლაში არ იყო ადაპტირებული შშმ მოსწავლეებისთვის. ძირითადად გამოყენებულია სასკოლო ინვენტარი: მერხები, სკამები. ერთ-ერთი მასწავლებელი ჩვენთან საუბრისას აღნიშნავდა, რომ ეს არ მოსწონს და ამბობს - *„აქ შემოსულმა ბავშვმა მინდა სხვა გარემოში იგრძნოს თავი.“* ერთ სკოლაში აღმოვაჩინეთ, რომ ოთახი თავდაპირველად ბიოლოგიის კაბინეტი იყო და კვლავ იდგა ძველი ავეჯი კოლბებითა და სხვა ნივთებით.

გარდა ამისა, რესურს ოთახი აღჭურვილი უნდა იყოს ტექნიკით: კომპიუტერით, პრინტერითა და ქსეროქსით, აუდიო და ვიდეო აპარატურით. ყველა რესურს ოთახში, გარდა ერთისა, ვხვდებით კომპიუტერს, მაგრამ სკოლათა უმრავლესობაში მასწავლებლებს სურთ ფერადი პრინტერი და ლამინირების აპარატი, რათა მათ მიერ მოძიებული სამუშაო მასალა ადვილად აღსაქმელი და ასევე მრავალჯერადი გამოყენების იყოს. გარდა ამისა, მხოლოდ ერთ სკოლაში შევხვდით აუდიო და ვიდეო აპარატურასა და ტელევიზორს.

რესურს ოთახის შერჩევისას სკოლამ უნდა გაითვალისწინოს, რომ იგი იყოს ნათელი, ნიავდებოდეს და იყოს ხელმისაწვდომი ეტლით მოსარგებლეებისთვის, ამიტომ თუ სკოლას ლიფტი არ აქვს უმჯობესია, ოთახი განთავსდეს პირველ სართულზე. სკოლათა აბსოლუტურ უმრავლესობაში იგი მართლაც იყო ნათელი, თბილ ფერებში. რაც შეეხება ხელმისაწვდომობას, გამოკითხული 14 სკოლიდან მხოლოდ ერთ სკოლას ჰქონდა ლიფტი, პირველ სართულზე იყო განთავსებული რესურს ოთახი მხოლოდ 7 სკოლაში, 5 სკოლაში მეორეზე, ხოლო 2 სკოლაში - მესამე სართულზე.

არსებული ვითარებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რესურს ოთახთან დაკავშირებით ჯერ კიდევ მრავალი პრობლემაა აღმოსაფხვრელი. მათ შორისაა: სივრცის, თვალსაჩინო, განმავითარებელი მასალების სიმწირე; აუდიო და ვიდეო აპარატურის, კომპიუტერის, პრინტერის, ქსეროქსის თუ სხვა ტექნიკური საშუალების არარსებობა ან ნაკლებობა; მოძველებული ან არაადაპტირებული ავეჯი და ა.შ.

არანაკლებ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სპეც მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად მიღებული მონაცემები. სულ გამოიკითხა თბილისის 14 საჯარო სკოლის სპეც მასწავლებელი. აღსანიშნავია, რომ ისინი ძირითადად სწორედ იმ პრობლემებს ასახელებენ, რასაც თავად წავაწყდით რესურს ოთახებში ვიზიტის შედეგად.

საკითხის უკეთ განხილვის მიზნით, ვფიქრობთ, უმჯობესია წარმოვადგინოთ მასწავლებელთა მიერ ინტერვიუს მსვლელობისას გაცემული პასუხები გაერთიანებული საკითხების მიხედვით.

თავდაპირველად დავინტერესდით სპეც მასწავლებელთა და სსსმ მოსწავლეთა რაოდენობით სკოლაში. არსებული ვითარებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლათა უმრავლესობაში მინიმუმ 11-12 სსსმ მოსწავლეა, რომლებთანაც მხოლოდ ერთი ან მაქსიმუმ ორი სპეც მასწავლებელი მუშაობს:

„11 მოსწავლე გვყავს, ერთი სპეცი ვარ და 6 მოსწავლე მყავს, ერთი ფსიქოლოგი გვყავს და მას 3 სსსმ მოსწავლე ჰყავს, ერთი გადის, ერთს ეხსნება სტატუსი.“

„13 სსსმ მოსწავლე გვყავს, 2 სპეცი ვართ, ფსიქოლოგი არა.“

ვხვდებით უფრო რთულ შემთხვევებსაც, მაგალითად: *„36 სსსმ მოსწავლე გვყავს, ორი სპეც მასწავლებელი ვართ, ფსიქოლოგი და კოორდინატორი;“*

„16 მოსწალე გვყავს და ორი სპეცმასწავლებელი ვართ;“

არსებული სურათიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ სკოლებში სპეც მასწავლებლების ნაკლებობაა, საშუალოდ 6-7 და ზოგჯერ უფრო მეტ მოსწავლეზე ერთი მასწავლებელი მოდის, მაშინ როდესაც სკოლის ვალდებულებაა 5 მოსწავლეზე ერთი სპეც მასწავლებელი ჰყავდეს. შესაბამისად, ჩვენთან საუბრისას მასწავლებლებიც ერთ-ერთ მთავარ პრობლემად არასაკმარის ადამიანურ რესურსს ასახელებენ. ვფიქრობთ, ეს ფაქტორი ხელის შემშლელია სწავლებისა და რესურს ოთახის წარმატებით

ფუნქციონირებისათვის, რადგან სპეც მასწავლებელი ინკლუზიური განათლების სისტემის ერთ-ერთი მთავარი რგოლია. იგი არა მხოლოდ სსსმ მოსწავლეს ეხმარება განათლების მიღებაში, არემედ არის შუამავალი ამ პროცესში ჩართული პირებისთვისაც(საგნის მასწავლებელი, დირექცია, მშობელი).

- **რესურს ოთახში მუშაობის პროცესი**

ამ საკითხის ირგვლივ გავაერთიანეთ კითხვები, რომლებიც ეხება რესურს ოთახში მიმდინარე აქტივობებს, ამ აქტივობების ტიპსა და სიხშირეს და ა.შ. როგორც ცნობილია, რესურს ოთახი საშუალებას იძლევა ინდივიდუალურთან ერთად ჩატარდეს ჯგუფური მეცადინეობებიც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეების ჩართულობას, ურთიერთპატივისცემის ჩამოყალიბებას და ა.შ. ამ საკითხთან დაკავშირებით მასწავლებელთა პაუხები ორად გაიყო, თუმცა უმრავლესობა ამბობს, რომ ატარებენ მხოლოდ ინდივიდუალურ აქტივობებს:

„ინდივიდუალურად, ჯგუფურად არ უწევთ ხოლმე, რადგან როდესაც ვცადე ერთობლივად გამეკეთებინა ერთ-ერთმა ბავშვმა საერთოდ შეწყვიტა ჩემთან კონტაქტი. მყავდა ხოლმე პირველი და მეორე კლასელი ერთად.“

„მხოლოდ ინდივიდუალური - არის, მაგალითად, დიდი სკოლები, ჩვენი მოცულობით პატარაა, ზოგს ორი რესურს ოთახი აქვს და მაგიდასთან შეიძლება რამდენიმე დასვა და გაუნაწილო რაღაცეები, ასეც შეიძლება, ჩვენ უბრალოდ ცალ-ცალკე ვაკეთებთ.“

„უმეტესად ინდივიდუალური, ჯგუფური გაკვეთილები სულ რამდენჯერმე გვქონდა.“

მხოლოდ რამდენიმე მასწავლებელმა დაასახელა, რომ ატარებდნენ ჯგუფურ აქტივობებსაც:

„ჯგუფური და ინდივიდუალური, რა თქმა უნდა.“

„ძირითადად ინდივიდუალურად, მაქსიმუმ ორი ბავშვი იჯდეს ერთად, ეს იმ შემთხვევაში თუ მასწავლებელი რთული ქცევის გამო გამოუშვებს ბავშვს კლასიდან. სხვა შემთხვევაში ძალიან იშვიათად.“

„ბევრი ბავშვია, ამიტომ ემთხვევიან და ზოგჯერ ერთდროულად ბავრია 7-8-ც . ჯგუფური ძალიან კარგია, როცა ხელოვნების გაკვეთილია, სახალისო და ბავშვები ერთად მუშაობენ და მოწონთ. თუმცა არის ქართულიც, მათემატიკაც ესე ერთად და ბავშვები ერთმანეთს ეხმარებიან.“

ყოველივე ამის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლებში ძირითადად ინდივიდუალური აქტივობები ტარდება, ჯგუფური კი ან საერთოდ არა, ან ძალიან იშვიათად და ამ შემთხვევაშიც ძირითადად არ არის დაგეგმილი, მოსწავლეთა დიდი რაოდენობის ან რესურს ოთახში გაუთვალისწინებელი ვიზიტის შედეგად ხორციელდება.

რაც შეეხება, ინდივიდუალური თუ ჯგუფური მეცადინეობების სიხშირესა და ხანგრძლივობას თავად სპეც მასწავლებელი განსაზღვრავს მოსწავლის საჭიროებების შესაბამისად. აღმოჩნდა, რომ სკოლათა უმრავლესობაში საჭიროებების გათვალისწინებით კვირის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ გამოჰყავთ მოსწავლე რესურს ოთახში, რაც გაწერილი აქვთ წლის დასაწყისში შედგენილ ცხრილში: *„გვაქვს ცხრილი, რომ სპეც მასწავლებლის მუშაობა არ დაემთხვეს და ხელი არ შევუშალოთ. ძირითადად ორჯერ ან სამჯერ კვირაში საჭიროების მიხედვით. არიან ბავშვები, რომლებიც საერთოდ აღარ გამოგვყავს და ადგილზე ვერევით, რადგან გვირჩევნია იქ იყოს ვიდრე აქ.“ „საჭიროების მიხედვით, ზოგი ერთხელ, ზოგი ორჯერ, სამჯერ ან ყოველდღე.“ „თითო ბავშვს ვამეცადინებთ კვირაში ორჯერ ოღონდ გააჩნია რა გვიწერია შეფასებაში რეკომენდაცია. თუ არის რეკომენდაცია, რომ არ გაიყვანოთ რესურს ოთახში მაინც გამოგვყავს მაგრამ იშვიათად დავუშვათ კვირაში ერთხელ ან ორ კვირაში ერთხელ. ჯგუფური დაახლოებით ორ კვირაში ერთხელ.“*

ხოლო იმ სკოლებში, სადაც მიმართავენ ჯგუფურ აქტივობებსაც, მისი ჩატარების სიხშირეა ერთ ან ორ კვირაში ერთხელ. აღმოჩნდა, რომ ჯგუფებს აკომპლექტებენ მოსწავლეთა შესაძლებლობების მიხედვით, რომელშიც გაერთიანებულია ძირითადად 2-3 მოსწავლე: *„პარალელური კლასები ან 5 და 6, ან 7 და 8. ასევე დონის მხრივ ერთნაირი ბავშვებიც გამოგვყავს“; „ორი, მაქსიმუმ სამი. ვარჩევ შესაძლებლობის მიხედვით“;* ჯგუფური მეცადინეობის ნაკლებობის ერთ-ერთი მიზეზი, ვფიქრობთ,

შეიძლება იყოს ადამიანური რესურსის ნაკლებობაც, რადგან ჯგუფური მუშაობის წარმართვას ამ შემთხვევაში საკმაოდ დიდი ძალისხმევა სჭირდება.

შემდეგი კითხვა, რომელიც ამ საკითხის ირგვლივ გავაერთიანეთ შეეხება სსსმ მოსწავლის გაუთვალისწინებელ ვიზიტს რესურს ოთახში. რესურს ოთაში დაუგეგმავ ვიზიტს ძირითადად იწვევს სსსმ მოსწავლის მიერ რთული ქცევის გამოვლენა. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ რესურს ოთახი არ გახდეს რთული ქცევის განმტკიცების მიზეზი. მასწავლებლებისგან მიღებული პასუხები შეგვიძლია ორ ნაწილად გავყოთ. მათზე დაყრდნობით ჩანს, რომ საგნის მასწავლებელთა უმრავლესობას არასწორი დამოკიდებულება აქვს რესურს ოთახთან და მისი დახმარებით ცდილობს თავი აარიდოს სირთულეებს. რთული ქცევის გამოვლენისთანავე სპეც მასწავლებლისგან ითხოვენ მოსწავლის გაყვანას, რის შედეგადაც მას განუმტკიცდება არასასურველი ქცევა და შესაბამისად, ეს სიტუაცია კიდევ განმეორდება არაერთხელ. *„თუ რთული ქცევა აქვს გვიკავშირდება მასწავლებელი და ჩამოგვყავს რესურს ოთახში“; „როდესაც საგნის მასწავლებელი ითხოვს, რომ გავიყვანო, ასე ვთქვათ „აწუხებს“, ან ბავშვებს არ აცდის გაკვეილზე არაფერს, რადგანაც არის დღეები, როცა მეტად გაღიზიანებული არიან და ძალას ვერ ზოგავენ.“*

თუმცა არსებობს სპეც მასწავლებელთა მცირე ნაწილი, რომლებიც უარს ამბობენ მოსწავლის გაყვანაზე რესურს ოთახში და ცდილობენ რეკომენდაციებით თუ სხვა გზით დაეხმარონ საგნის მასწავლებელს პრობლემის მოგვარებაში. *„მოუმართავს მასწავლებელს, როცა ბავშვი ავლენს რთულ ქცევას, რომ „იქნებ გაიყვანოთ, მომაშოროთ“ - მსგავსი ფრაზებით, მაგრამ ჩვენ კატეგორიულ უარზე ვართ ამ დროს, იმიტომ, რომ ქცევა განუმტკიცდებათ ამ შემთხვევაში. მასწავლებელს ვაძლევ რეკომენდაციას როგორ მოიქცეს, თითონ რამდენად მიჯერებენ და ითვალისწინებენ არ ვიცი.“*

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლათა უმრავლესობაში რესურს ოთახს იყენებენ არასწორად, რაც ხელს უშლის მოსწავლეს მიზნის მიღწევაში და ზოგჯერ შესაძლებელია წარმოქმნას დამატებითი პრობლემებიც.

ასევე დავინტერესდით თუ ძირითადად რომელი უნარების გასავითარებლად მუშაობენ სპეც მასწავლებლები რესურს ოთახში. მასწავლებელს საშუალება უნდა ჰქონდეს იმუშაოს კოგნიტური, აკადემიური, მოტორული უნარების განსავითარებლად, ხელი შეუწყოს მოსწავლეების სოციალიზაციის პროცესს და ა.შ.

თუმცა მასწავლებელთა პასუხებიდან აღმოჩნდა, რომ ძირითადად მუშაობენ აკადემიურ უნარებზე, მხოლოდ რამდენიმე მასწავლებელმა აღნიშნა კოგნიტური და სოციალური უნარები.

„აკადემიურ უნარებზე ვმუშაობთ.“

„წესით ბავშვი უნდა იჯდეს გაკვეთილზე ინკლუზიური განათლება ეს არის. ჩვენ ძირითადად შემეცნებით უნარებზე უნდა ვიმუშაოთ, მაგრამ ამას ვერ ვახერხებთ, რადგან მასწავლებლები გაკვეთილზე არაფერს აკეთებენ და გვიწევს ჩვენ გავაკეთოთ.“

„ძირითადად მშობელთან შეთანხმებით ეს არის სოციალური უნარების განვითარება, რომ შეისწავლოს, დაათვალიეროს, მიაგნოს მისთვის სასურველ ოთახებს, დერეფანს, გაეცნოს სკოლის ინფრასტრუქტურას. შემდეგ კლასელებთან ურთიერთობა რომ დამყარდეს, მეგობრობა, ურთიერთობა. სოციალური როცა მოგვარდება მერე აკადემიური უნარების განვითარებაზე. ფუნქციურზე სკოლაში ვერ ვმუშაობთ. მოტორიკის განვითარებაზეც.“

„კოგნიტურ უნარებზე ვმუშაობთ, აკადემიურზეც ვმუშაობთ, რომ ის რაც გვაქვს ინდ გეგმაში განვავრცოთ და გადავიდეთ შედეგზე.“

„კოგნიტური, სოციალური, ვმუშაობთ მსხვილი და წვრილი მოტორიკის განვითარებაზე. ასევე ფუნქციურ უნარებზე.“

როგორც ვხედავთ, სპეც მასწავლებლებლები უმეტესად აკადემიური უნარების განვითარებაზე მუშაობენ, რის მიზეზადაც ზოგჯერ საგნის მასწავლებლის მიერ მოვალეობის შეუსრულებლობა სახელდება. შესაბამისად საგნები, რომელზეც უფრო ხშირად მუშაობენ რესურს ოთახში არის ქართული და მათემატიკა, რადგან ფიქრობენ, რომ აქ პრობლემის აღმოფხვრით, ადვილად დაიძლევა სხვა საგნებში არსებული პრობლემებიც. *„ძირითადად ბავშვის უნარებიდან გამომდინარე ვმუშაობთ, ძირითადად მათემატიკა, ქართული ესეთი საგნები რო წერა-კითხვა, ანგარიში, თხრობა გავუმყაროთ და ამას რომ ძლევენ სხვა რაღაცეებშიც აღარ აქვთ დიდად პრობლემა.“*

თუ შევაჯერებთ ზემოთ მოტანილ ინფორმაციას, მთავარ პრობლემად შეგვიძლია დავასახელოთ კადრების ნაკლებობა სკოლებში და რესურს ოთახის, როგორც დამხმარე საშუალების გამოყენება არასწორი დანიშნულებითა და მიზნით.

- **რესურს ოთახის აღჭურვასთან დაკავშირებული საკითხები**

ამ საკითხთან მიმართებით დავინტერესდით თუ ვინ მონაწილეობს რესურს ოთახისთვის საჭირო მასალის განსაზღვრაში და რის მიხედვით ხელმძღვანელობენ ამ პროცესში. მიღებული პასუხებიდან გამომდინარე უმრავლესობა ამბობს, რომ განსაზღვრავს თვითონ ან არსებობის შემთხვევაში ფსიქოლოგთან ერთად, ასახელებენ დირექტორსაც, ზოგჯერ ითვალისწინებენ საგნის მასწავლებლის აზრსაც. *„საჭიროებიდან გამომდინარე ვარჩევთ ჩვენ . მასალით უზრუნველყოფა ჩვენზეა, ჩვენ მივდივართ მაღაზიაში.“*

„უფრო რა უჭირს, მასწავლებლებსაც ვესაუბრები და ვეკითხები ხოლმე უფრო რომელი მხრით წავიდე. მე ვარჩევ თან მასწავლებელიც როგორც მეუბნება.“

„სკოლაში არის შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელშიც არის მულტიდისციპლინური გუნდის წევრიც, რომლებიც გვაფასებენ გავაკეთეთ თუ არა ინდივიდუალური გეგმები, რა მასალები გვაქვს რესურს ოთახში და ა.შ. მერე წლის ბოლოს ეს ფასდება, რა გვჭირდება გადაეცემა, ეს მონიტორინგის ჯგუფი იწერს და აქედან გამომდინარე სექტემბერში შეძლებისდაგვარად მოგვეწოდება.“

საჭირო მასალის განსაზღვრისას ხელმძღვანელობენ მხოლოდ ბავშვის შესაძლებლობებით. საუბრისას 14 მასწავლებლიდან არც ერთს უხსენებია, რომ ამ დროს ითვალისწინებენ დასახული მიზანისა და რესურსის შესაბამისობასაც.

გარდა ამისა, დავინტერესდით ჰქონდათ თუ არა საკმარისი რესურსი ინდივიდუალური სასწალო გეგმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, *„ამ ეტაპზე მოვითხოვე ხმოვანი ანბანი, სიუჟეტური ბარათები, რესურსების ნაკლებობა გვაქვს კი“; „ჩვენთან ამდენი წლის მანძილზე გამოცდილებაც დაგროვდა და რესურსებიც. ყოველწელს ვამატებთ კიდე ამ თვალსაჩინო მასალას“; „სამუსაო მასალა გვაკლია. ვარჩევთ იმის მიხედვით ბავშვს რა სჭირდება. ჩვენ თვითონ ვაკეთებთ. კარგი იქნება გაწერილი იყოს რესურს ოთახში ეს, ეს ეს უნდა იყოსო. ყველაფერი შენ უნდა მოიგონო.“*

როგორც ვხედავთ, სკოლებში რესურსების ნაკლებობაა. რაც შეეხება მიზეზს, მასწავლებელთა უმრავლესობა თავს არიდებს პასუხს, ნაწილი უკმაყოფილებას გამოთქვამდა ადმინისტრაციის მიმართ, უფრო ხშირად კი ამბობდნენ, რომ ადმინისტრაცია მოთხოვნის შემთხვევაში ყოველთვის ამარაგებს საჭირო მასალით. *„ბიუჯეტი არ გვყოფნის"; „მიზნის მისაღწევად საჭირო რესურსები ნაკლებად გვაქ, პუფები, ხალიჩა, წიგნები გვინდა, შარშან მოვიტანე ინვოისები მაგრამ არაფერი გაკეთებულა"; „სკოლა არის ამ საკითხის მიმართ დადებითად განწყობილი და ყოველ წუთს გვეკითხება ხოლმე დირექცია რამე ხო არ გვჭირდება."*

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რესურს ოთახებში სამუშაო მასალის ნაკლებობაა, მასწავლებლებს ხშირად თავად უწევთ რესურსის შექმნა. სკოლის ადმინისტრაცია უმეტეს შემთხვევაში არ არის სათანადოდ ჩართული რესურს ოთახის ფუნქციონირების საკითხში, არსებული ვითარების გაუმჯობესებაში.

- **რესურს ოთახთან დაკავშირებული პრობლემები**

გვინდოდა გაგვეგო რა პრობლემები არსებობდა რესურს ოთახთან დაკავშირებით, რისი მოგვარება გახდა შესაძლებელი და რა პრობლემებს აწყდებიან დღეს მუშაობის პროცესში. *„ვერ ვიტყი, რომ რამე განსაკუთრებული პრობლემა იყო, მერე და მერე ემატებოდა რესურსებიც"; „თითქმის არ გვქონდა არანაირი რესურსი რამდენიმე ნივთის გარდა, მაგრამ დღესდღეობით სიტუაცია განვითარდა, თუმცა მაინც არ არის საკმარისი."*

რაც შეეხება დღეს არსებულ ვითარებას, მიღებული პასუხები შემდეგია: *„როგორც გითხარით საგნის მასწავლებლებთან მაქვს პრობლემა არ აღიქვამენ ამ ბავშვებს ჩვეულებრივ ბავშვებად, ავადმყოფებად აღიქვამენ"; „ამ გადასახედიდან, რომ ვინმემ მკითხოს რა არის შენი პრობლემაო, აი, პატარა სივრცე რომ მაქ ის. მინდა რაღაც შევცვალო თვალსაჩინოებები თუ სხვა რამ მინდა უფრო მრავალფეროვანი გავხადო, მაგრამ ამ პატარა სივრცეში ჭერიც ავითვისე და. პირადად ჩემი პრობლემა არის სივრცე"; „ყველაზე მეტად გვჭირდება რესურსების მრავალფეროვანი არჩევანი, რადგან როცა არის რესურსი ბავშვიც კარგად გრძნობს თავს და მუშაობისთვისაც უკეთესია, რომ მალ-მალე შეუცვალო, რომ არ იყოს მოსაწყენი."*

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რესურს ოთახში სამუშაო მასალის ნაკლებობაა. მასწავლებლები მთავარ პრობლემად სწორედ ამას ასახელებენ და ამბობენ, რომ ვითარება წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესდა, მაგრამ კვლავ პრობლემად რჩება. ერთ-ერთი გადასაჭრელი პრობლემაა სივრცე, რადგან ჩვენი დაკვირვებიდანაც შეიძლება ითქვას, რომ ის საკმაოდ მცირე მოცულობისაა, საკლასო ოთახის ზომის ან კიდევ უფრო მცირე.

- **სპეც მასწავლებლების დამოკიდებულება რესურს ოთხთან დაკავშირებით**

ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო მასწავლებლებისგან, როგორც რესურს ოთახის სივრცეში უშუალოდ მომუშავე პირებისგან, გაგვეგო რას მიიჩნევდნენ რესურს ოთახის დადებით და უარყოფით მხარედ. დადებითად მიიჩნევენ, რომ ეხმარება მიზნის მიღწევაში, საშუალებას იძლევა მუშაობა მეტად იყოს მორგებული ბავშვის საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე, ბავშვებს აქვთ განტვირთვის საშუალება და ა.შ. პრობლემად ასახელებენ იმას, რომ საგნის მასწავლებლები ბოროტად იყენებენ ამ რესურსს. გარდა ამისა, ბავშვებს თავად უჩნდებათ პროტესტი რესურს ოთახის მიმართ, როგორც „განსხვავებულობის“ ხაზგამსმელს ისე აღიქვამენ, და ა.შ.

„დადებითი ისაა, რომ ბავშვს აქვს დამატებით მეცადინეობის საშუალება და მეტად იმაზეა აქცენტი გაკეთებული, რაც მისთვის საჭიროა, უარყოფითი კი ის აქვს, რომ მასწავლებელი ძალიან ხშირად არის თუ არა ამის საჭიროება რესურს ოთახში უშვებს ბავშვებს, რომ „თავიდან მოიშოროს“ გაკვეთილიდან.“

„რესურ ოთახი ძალიან კარგი დამხმარეა ბავშვთან მუშაობის დროს, პირელ რიგში შეგიძლია ინდივდალურად ბავშვთან მუშაობა და გარემოც ხელს გიწყობს , რადგან მოგეპოვება ის ნითები რაც გჭირდება, თუმცა უაროფითი შეიძლება იყოს ის, რომ არ იყოს საკმარისი ოთახის მოცულობა და არ გქონდეს ყველა თვალსაჩინოება, რასაც მოითხოვს თერაპია.“

„დადებითი განტვირთვის საშუალებაა.“

„არაფერი უარყოფითი არ ვიცი. დადებითი ის არის, რომ ეს რესურს ოთახი ეხმარება ბავშვებს სწავლის მხრივ, განწყობის ამაღლების მხრივ, განტვირთვისთვის.“

„უარყოფითი ის აქ რომ მასწავლებლები იყენებენ არასწორად, ცუდად, ბავშვი ცოტა გაფაჩუნდება და აბა წადი. თან რა აქვს კიდევ უარყოფითი თითონ ბავშვსაც

სპეციალურად იქცევა ცუდად რომ მოხვდეს აქ. მასწ და მოსწავლეც იყენებენ ცუდი კუთხით.“

„უარყოფითი მაღალ კლასებში აქვთ სირცხვილის გრძნობა, აი კლასი რო წავა მერე შემოვალ.“

„მაგალითად ის რომ ზოგიერთ მშობელს არ სურს რესურს ოთახში შემოვიდეს ბავშვი. ზოგი გეუბნება მე თუ თანახმა ვინებბი პირველადი შეფასება მოხდეს, მაშინ იცოდეთ, რომ არ მინდა რესურს ოთახი. იყოს კლასში და ისე დააკვირდით, ასეთ რაღაცას ამბობენ ხოლმე ზოგჯერ. ზოგი პირიქით დადებითად არის განწყობილი.“

„ზოგჯერ მეც ფვიქრობ, რომ მაღალ კლასებში, როცა ბავშვი გარდატეხის ასაკშია, ის არ არის მიზანშეწონილი რო შეხვიდე კლასში დაენახო და ისე გამოიყვანო. ისედაც არ არის ზოგადად მიზანშეწონილი. ეს ასოცირდება რაღაც უარყოფითთან. უარყოფითი ის არის,რომ ასოცირდება თითონ საგნის მასწავლებლებიდან გამდინარეც, რომ რაღაც უჭირთ. ამიტომ არ მიმაჩნია სწორად. ეს რაღაც ჩუმად უნდა ხდებოდეს. ასეც არის გათვალისწინებული, მაგრამ, როგორც წესი არავინ არ ასრულებს.“

„დადებითი - უვითარებს ისეთ უნარებს რომელთა განვითარება გაკვეთილზე ვერ ხერხდება, ასევე აქ მოსწავლეებს ფუნქციურებზე ვუმახვილებთ ყურადღებას.“

„უარყოფითი - მასწავლებლების მხრიდან ხშირია შემდეგი კომენტარები: „წაიყვანე შენი მოსწავლე შენს ოთახში.“

როგორც ვხედავთ, მასწავლებლები უფრო მეტად დადებითად აფასებენ რესურს ოთახის არსებობას და ფიქრობენ, რომ ის ნამდვილად ეხმარება სსსმ მოსწავლეს განათლების მიღებაში, თუმცა ასახელებენ გარკვეულ პრობლემებსაც, რომელთა დაძლევაც აუცილებელია.

მასწავლებლებს ვთხოვეთ დაესახელებინათ საკითხები, რომელთა შეცვლასაც ისურვებდნენ, რათა მათი მუშაობა უფრო შედეგიანი და შესაბამისად რესურს ოთახის ფუნქციონირება უფრო წარმატებული იყოს. მასწავლებლები განიცდიან სივრცის, ადამიანური და სამუშაო რესურსის ნაკლებობას და შესაბამისად, სურთ ამ პრობლემების მოგვარება, ასევე სურთ საგნის მასწავლებლებთან თანამშრომლობის გაუმჯობესებაც. თუმცა აღნიშნავენ იმასაც, რომ ამასთან ერთად მნიშვნელოვანია „საკეთებელი“ აკეთონ ნებისმიერ პირობებში.

„იქიდან გამომდინარე, რომ ბევრი ბავშვი გვყავს ვისურვებდი დამატებით რესურს, ადამიანური მაქვს მხედველობაში.“

„იდეაში, რომ არსებობდეს სკოლაში ყველა სახის თერაპევტი, მეტყველების თერაპევტი, ქცევის და ცალკე რო იყოს ამის საშუალება და უფრო მასშტაბური იყოს ვისურვებდი.“

„რა პირობებიც არის იმ პირობების მიხედვითაც შეიძლება შენი საკეთებელი აკეთო, მცირე დახმარებაც რო გაუწიოთ ამ ბავშვებს, მე ვფიქრობ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია.“

„სიდიდეზე და სილამაზეზე არ არის დამოკიდებული, მე ვფიქრობ, რომ მთავარია ფუნქციონირებდეს.“

„მასწავლებლებთან თანამშრომლობას და რესურსებს, თუ რესურსი არ გაქ ცარიელი ხელებით რა უნდა გააკეთო.“

„შევცვლიდი ისევ და ისევ სივრცეს, დიდი სივრცე ბევრად უკეთესი იქნებოდა.“

საბოლოოდ, შეიძლება ვთქვათ, რომ სკოლათა უმრავლესობაში სპეც მასწავლებლების ნაკლებობაა, რაც ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი შეიძლება გახდეს რესურს ოთახის წარმატებით ფუნქციონირების პროცესში. გარდა ამისა, ისინი მოსწავლეებთან ძირითადად მხოლოდ აკადემიური უნარების განვითარებაზე მუშაობენ მაშინ, როდესაც რესურს ოთახში შესაძლებელია კოგნიტური, მოტორული თუ სხვა უნარების განვითარებაში დახმარების გაწევაც.

სამწუხაროა, მაგრამ ზოგიერთ სკოლაში რესურს ოთახი არის არა სსსმ მოსწავლის სრულფასოვანი ინტეგრაციის ერთ-ერთი საშუალება, არამედ ადგილი, სადაც საგნის მასწავლებელს შეუძლია სსსმ მოსწავლის გაშვება პირველივე პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში. ისინი, ასე ვთქვათ, „ბოროტად“ იყენებენ მას. საგნის მასწავლებლის ასეთი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, რესურს ოთახში ვიზიტი ხშირად ხდება მოსწავლისთვის არასასურველი ქცევის გამოვლენის მიზეზი. თუმცა, ამის საპირისპიროდ, ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც სპეც მასწავლებლები ცდილობენ თავი აარიდონ ამ უარყოფით ფაქტორს და ან თავად ერთვებიან პრობლემის მოგვარების პროცესში, ან აძლევენ რეკომენდაციებს საგნის მასწავლებელს პრობლემის მოგვარების მიზნით.

გარდა მასწავლებლებთან გასაუბრებისა და უშუალოდ რესურს ოთახში ვიზიტისა, ზოგიერთ შემთხვევაში გვქონდა საშუალება გვენახა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში იყო თუ არა გაწერილი ის რესურსები, რომლებიც სჭირდება კონკრეტულ მოსწავლეს რესურს ოთახში მუშაობისას. სამწუხაროდ, განხილული ინდივიდუალური სასწავლო გეგმებიდან არც ერთში მსგავსი ინფორმაცია არ მოიპოვებოდა.

ჰიპოთეზა: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა უმრავლესობაში რესურს ოთახები არ არის აღჭურვილი სსსმ მოსწავლეების საჭიროებების შესაბამისად, აღინიშნება სასწავლო ლიტერატურისა და პედაგოგების ნაკლებობა და შესაბამისად ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას, შეიძლება ითქვას, რომ გამართლდა. რესურს ოთახები მართლაც განიცდიან დასახელებული რესურსების ნაკლებობას, ამიტომ სრულფასოვნად ვერ ასრულებენ თავის დანიშნულებას.

დასკვნები

- ✓ კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სკოლებში ადამიანური რესურსის ნაკლებობასთან დაკავშირებული პრობლემაა, სპეც მასწავლებლების სახით;
- ✓ რესურს ოთახს ძირითადად მხოლოდ აკადემიური უნარების განსავითარებლად იყენებენ;
- ✓ რესურს ოთახში ვიზიტი ხშირად ხდება არასასურველი ქცევის განმტკიცების მიზეზი, რადგან სსსმ მოსწავლეებს უმეტესწილად უყვართ რესურს ოთახში ყოფნა. საგნის მასწავლებლები კი პატარა წინააღმდეგობის შემთხვევაში სთხოვენ სპეც მასწავლებელს ბავშვის გაყვანას და რესურს ოთახს იყენებენ არამიზნობრივად;
- ✓ რესურს ოთახი ხდება „განსხვავებულობის“ ნიშანი. სსსმ მოსწავლეებს უჩნდებათ პროტესტი მის მიმართ, სცხვენიათ და ურჩევნიათ იქ მაშინ მივიდნენ, როდესაც თანაკლასელები წავლენ; ანალოგიურია ხშირად მშობლების დამოკიდებულებაც;
- ✓ რესურს ოთახი დადებით როლს ასრულებს მოსწავლეთა სასწავლო მიზნების მიღწევაში; ინდივიდუალური მუშაობის და ისეთი უნარების განვითარების საშუალებას იძლევა, რომელთა განვითარებაც გაკვეთილზე ვერ ხერხდება;
- ✓ სკოლებში არსებული რესურს ოთახები განიცდიან სამუშაო მასალის, ტექნიკური საშუალებებისა და სივრცის ნაკლებობას;
- ✓ რესურს ოთახები არ არის აღჭურვილი ადაპტირებული ავეჯით;
- ✓ რესურს ოთახებში არსებული სივრცე ძირითადად ნათელია, თბილი ფერებით შეღებილი;
- ✓ რესურს ოთახი ნაკლებად ხელმისაწვდომია ეტლით მოსარგებლე თუ სხვა საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის, რადგან ხშირად განთავსებულია მეორე ან მესამე სართულებზე.

რეკომენდაციები

- ✓ ვფიქრობთ, რესურს ოთახის ფუნქციონირების გაუმჯობესების მიზნით, უკეთესი იქნება მეტი ადამიანური რესურსის ჩართვა. საჭიროების შემთხვევაში მეტყველების, ქცევისა თუ სხვა სახის თერაპევტების დახმარებაც;
- ✓ უკეთესი იქნება რესურს ოთახში მასწავლებლები მუშაობდნენ სხვადასხვა უნარების, და არა მხოლოდ აკადემიური უნარების განვითარებაზე;
- ✓ სასურველია რესურს ოთახთან დაკავშირებული სტიგმის აღმოსაფხვრელად ფსიქოლოგის მუშაობა როგორც სსსმ მოსწავლეებთან, ისე მათ თანაკლასელებთან და საგნის მასწავლებლებთან;
- ✓ საჭიროა ყველა სპეც მასწავლებელს ჰქონდეს ჩამონათვალი იმ რესურსებისა, რომლებიც უნდა იყოს რესურს ოთახში აუცილებლად და რომელი უნარების განსავითარებლად რა სახის რესურსია საჭირო. კარგი იქნებოდა ამ კუთხით მათი გადამზადება;
- ✓ აუცილებელია სკოლის ადმინისტრაციამ იზრუნოს საჭირო სამუშაო მასალის შეძენაზე, ხელი შეუწყონ სპეც მასწავლებელს მუშაობის პროცესში;
- ✓ სკოლამ გამოყოს საკმარისი სივრცე, რათა მოსწავლეებმა შეძლონ მასწავლებლის დახმარებით ისწავლონ, მაგრამ ჰქონდეთ განტვირთვისა და დასვენების საშუალებაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაგოშიძე თ., ჭინჭარაული თ., ფილაური თ., ბაგრატიონი მ., ინკლუზიური განათლების პრინციპები, 2008, 188 გვ.;

2. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია;
http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/arasrw.martl3.pdf

3. გოგიჩიძე ნ., ყაჭეიშვილი თ., უჯმაჯურიძე მ., სპეციალური მასწავლებელი, როგორც ინკლუზიური განათლების ერთ-ერთი მთავარი რესურსი და არსებული გამოწვევები, თბილისი, 2018, 54 გვ.;

4. ეროვნული სასწავლო გეგმა;
http://ncp.ge/files/ESG/NC%202018-2024/%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%92%20-%202018%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%207%20%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C.pdf?fbclid=IwAR0xCZCy4nHQwtc2_VfxlPSFUDnX_lA7QCMKJpIu7O05l0hRl7KJChtHcOQ

5. ინკლუზიური განათლების დანერგვის, განხორციელებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე, თბილისი, 2018;
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4007539?publication=0

6. ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამა, 2009;
http://mes.gov.ge/upload/multi/geo/1243932215_inkluzia.pdf

7. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ;
http://www.mes.gov.ge/uploads/Licenzireba/kanoni%20zogadi%20ganatlebis%20shesaxeb.pdf;

8. სკოლებში რესურს ოთახების მოწყობა და ფუნქციონირება;
საქართველოს განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ შემუშავებული დოკუმენტი სკოლის მასწავლებლებისთვის;

9. სპეც მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი;
http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/specialuri%20maswavleblis%20standarti.pdf

10. პაჭკორია თ., ვისწავლოთ ერთად, ინკლუზიური განათლება, თბილისი, 2008, 511 გვ.;

11. პაჭკორია თ., ინკლუზიური განათლება - ცნებები და ტერმინები, 2011, 96 გვ.

12. პაჭკორია თ., მაზმიშვილი ს, კბილცეცხლაშვილი თ., იაშვილი ქ., ჭელიძე მ., მოსწავლე, ოჯახი და სკოლა, 53 გვ.

13. პაჭკორია თ., ჭინჭარაული თ., ლაღიძე ა., ბაგრატიონი მ., ინკლუზიური განათლება - გზამკვლევი მასწავლებლებისათვის, 2011, 76 გვ.;

14. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2016) განათლების ნაწილის შეფასება, 100 გვ.;

15. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289?publication=0

16. ჭინჭარაული თ., ჯავახიშვილი ნ., ინკლუზიური განათლების მაჩვენებლები საქართველოში, 2013, 90 გვ.

17. ხარებავა მ., ჯავახიშვილი ჟ., ქობალია ნ., გზა ინკლუზიისაკენ, ზუგდიდი, 2006; http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-10&a=d&c=civil2&cl=CL2.5&d=HASH01a89cd0cb2414a0a89af6d9.1

18. Meijer J.W., Special Education across Europe in 2003, 2003, 146 გვ.

19. Meijer C., Soriano V., Watkins A., Special Needs Education in Europe, 2003, 63 გვ.

20. . Thurlow Martha L., Ysseldyke James E., Graden Janet L., Algozzine B., “WHAT'S "SPECIAL" ABOUT THE SPECIAL EDUCATION RESOURCE ROOM FOR LEARNING DISABLED STUDENTS?”, 2014

21. https://simple.wikipedia.org/wiki/Resource_room

22. https://www.jobmonkey.com/schoolteaching/resource-room/

23. https://www.thoughtco.com/special-education-resource-room-3110962

24. http://mes.gov.ge/content.php?id=8447&lang=geo

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Psychology and Educational Sciences

Master's program **"Educational Sciences"**

Datashvili Ana

Resource room and its role in the learning/teaching process of pupils with special educational needs.

The thesis is fulfilled for the purpose of getting Master's academic degree in Educational Sciences

Master's thesis advisor: Efhemia Kharadze,

Assistant Professor of Faculty of Psychology and Educational Sciences at TSU,

Doctor of Pedagogical sciences

Master's thesis co-advisor: Maia Sashviashvili

Doctorate of Faculty of Psichology and Educational Sciences at TSU

Tbilisi

2019